საქართველო

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№77 (9757) 2024 წლის 1 ივლისი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი

ეს გაუმარჯოს ერთი კიოლნით, ყველა წაგებულ მატჩის შენდობას!..

ეს ბოლო ჩემი ბოლოა! ბენიკ ხანანაშვილი

დიახ, წუხელ გერმანული ევრო – 2024-ის მერვედფინალი ესპანეთის უძლიერეს გუნდთან დავთმეთ – 1:4 მაგრამ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ახალი სასახელო სტრიქონები ჩავწერეთ და სამშობლოში, როგორც გამარჯვებულნი, თავაწეულნი ვბრუნდებით.

მადლობა დაუვიწყარი სადებიუტო სპექტაკლებისთვის ჩვენს საამაყო ბიჭებს, მთავარ მწვრთნელს ვილი სანიოლს, ფეხბურთის ფედერაციას, ბოლო წლებში ქართული სპორტის ამღორძინებელ „ქართულ ოცნებას“, პირადად ბიძინა ივანიშვილს, ყველა კეთილ ადამიანსა და გულშემატკივართა დიდ არმიას, მთელი პლანეტიდან რომ ამხნევებდა ქართველ ფეხბურთელებს...

გული არ გაიტეხოთ, სერიოზული გამარჯვებები კიდევ იქნება!

მშვიდობისა და გამარჯვების გზებით გევლოს, მუდამ ჭირთამთმენო საქართველოვ!

საქართველოს მთავრობის ორი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა სიღარიბის საბოლოო დაძლევა და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის დასკვნითი სიტყვა პარლამენტში, 28 ივნისი 2024 წელი

ილია მეორემ აბიტურიენტები დალოცა

„იწყება უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პერიოდი. ყველას, ვინც ემზადება ცოდნის მისაღებად და სწავლის გასაგრძელებლად, ვლოცავ და ვუსურვებ წარმატებებს. უფალმა მოგმადლოთ გონიერება და სულიერი ძალა.

კარგი იქნება თუ ახალგაზრდობა, ასევე, სათანადო ყურადღებას დაუთმობს პროფესიულ განათლებასაც, რადგან კოლეჯში სწავლა და პროფესიის დაუფლება მნიშვნელოვანია.

ასე რომ, ასპარეზი ფართოა და შესაძლებლობები მრავალგვარი.

გეწეოდეთ ღმერთი და თქვენი მფარველი ანგელოზი!“, – აღნიშნავს პატრიარქი.

ცოდნა სინათლეა!

წიგნის მოყვარულთა დამპურებელნი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია, საქართველოში წიგნის მოყვარულთა დამფასებელი და ინტელექტუალთა უერთგულესი კერა იუბილარია, მას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ ჩვენს მეგობრებს ამ საიუბილეო თარიღს, წინსვლასა და გამარჯვებებს ვუსურვებთ!..

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს მთავრობის ორი უმთავრესი ეროვნული ამოცანაა სიღარიბის საბოლოო დაძლევა და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება!

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის დასკვნითი სიტყვა პარლამენტში, რომელიც სრულყოფილად წარმოგვიდგენს მისი ვრცელი გამოსვლის მთავარ სათქმელს

... კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ოპოზიციამ ვერ გაბედა დებატებში შესვლა, დღევანდელ დისკუსიაში მონაწილეობა. არადა, ეს არის კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურა, სადაც საუბარია საქართველოს მთავრობის მიერ წლის განმავლობაში განხორციელებულ საქმიანობაზე და რა უნდა აინტერესებდეს ოპოზიციას, თუ არა ასეთი ტიპის საკითხების განხილვაში მონაწილეობა, კითხვების დასმა. თუ მათ მხარეს არის სიმართლე, მაშინ რატომ გაურბიან ასეთი ტიპის დებატებს? საქმე ისაა, რომ არც ინტელექტუალური რესურსი აქვთ და რაც მთავარია, სიმართლე არ არის მათ მხარეს. მათ წააგეს ყველა წინა დებატები მთელი ამ ოთხი წლის განმავლობაში, მანამდეც, მაგრამ მე ხაზს ვუსვამ ამ საპარლამენტო მოწვევას, აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რომ რადიკალური ოპოზიციის რიგები არის ცარიელი და ისინი კიდევ ერთხელ გაექცნენ პოლიტიკურ დისკუსიას, დებატებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა, ამან, მეორე მხრივ, მოგვცა პროცედურის მშვიდად ჩატარების საშუალება და დღევანდელი სხდომა არის კიდევ ერთი ილუსტრაცია იმისა, რომ

სადაც არ არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა", იქ არის სიმშვიდე და იქ არის მშვიდობა.

ეს არის ამ ყველაფრის კარგი მაგალითი. მეორე მხრივ,

სადაც არის კოლექტიური „ნაცმოძრაობა", იქ არის უკულტურობა, უზრდელობა, უინტელექტობა და ესეც ძალიან კარგად გაიხსენა კიდევ ერთხელ ქართველმა საზოგადოებამ.

ეს ყველაფერი განაპირობებს იმ პოლიტიკურ მოცემულობას, რომელიც ჩვენ გვაქვს წინასაარჩევნოდ.

აქ საუბარი იყო ჩვენს პოლიტიკურ რეიტინგებზე, მმართველი გუნდის პოლიტიკურ, პარტიულ რეიტინგზე, რომელიც არის ისტორიულ მაქსიმუმზე და რომელიც სტაბილურად უტოლდება დაახლოებით 60%-ს. ეს არის ისტორიული მაქსიმუმი და ამას სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ორი მთავარი ფაქტორი განაპირობებს – პირველი ეს არის ის, რომ ურთულესი გამოწვევების მიუხედავად, ოპოზიციის და კონკრეტული სხვა სუბიექტების ზეწოლის მიუხედავად, ხელისუფლებამ შეძლო მშვიდობის შენარჩუნება და მეორე – ჩვენ გვაქვს ეკონომიკური წინსვლა, სწრაფი ეკონომიკური ზრდა და საბოლოო ჯამში, ესეც განაპირობებს მოსახლეობის დადებით განწყობას მოქმედი ხელისუფლების მიმართ. დამატებით, მესამე ფაქტორი არის რადიკალური ოპოზიციის სრული უსუსურობა. საზოგადოება უკვე კარგად არჩევს შავს და თეთრს, ვინ ემსახურება საკუთარ ქვეყანას, ვინ ემსახურება სხვა ინტერესებს, ვინ მტროობს სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანას. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის ისიც, რომ ოპოზიციის რეიტინგი არის ისტორიულ მინიმუმზე. თუ წინა არჩევნებზე მხოლოდ პარტია „ნაცმოძრაობამ" მიიღო ხმების 30%, ამ შემთხვევაში მთელი კოლექტიური „ნაცმოძრაობის" შედეგი არის 30%-ზე ნაკლები. რეალურად, საკუთარ თავს უნდა დააბრალონ ეს ყველაფერი და უნდა დააბრალონ იმ არასწორ გზას, რომელსაც ისინი ადგანან, უკვე ორ ათწლეულზე მეტია.

დარწმუნებული ვარ, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კოლექტიური „ნაცმოძრაობა" აქ ხუთ რიგსაც ვერ შეავსებს.

მომდევნო ოთხი წელი იქნება ახალი გარდამტეხი ეტაპი საქართველოს განვითარების გზაზე. ჩვენ გვაქვს ორი უმთავრესი ეროვნული ამოცანა — სიღარიბის საბოლოო დაძლევა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის გამთლიანება. ორივე ოცნება არის აღსრულებადი, ძალიან თამამად შეიძლება ამის თქმა. მთავარია, ჩვენ ვიდგეთ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. მჯერა, რომ 2030 წლამდე ჩვენ ვიცხოვრებთ ერთიან საქართველოში, ჩევნს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად და ერთად შევალთ ევროკავშირში, ერთად გავხდებით ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა.

ეკონომიკა უნდა გახდეს 44 მილიარდი დოლარი, რაც უკვე კარგი მაჩვენებელია, თუმცა ჩვენ გვაქვს ამაზე უფრო დიდი ამბიცია და გვაქვს ყველანაირი რესურსი, პოტენციალი იმისთვის, რომ თუნდაც 50 მილიარდ დოლარიან ნიშნულს გადავცდეთ 2028 წლისთვის, მთელი ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა იყოს პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და ეს მიზანიც აბსოლუტურად მიღწევადია. შესაბამისად, ეკონომიკური განვითარება იქნება შემდგომი ოთხწლიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი.

ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა – ავტობანის ქსელის შემდგომ განვითარებაზე, პორტების, აეროპორტების და ა.შ. ყველა მიმართულებით წარმოდგენილი იქნება

რაც ნაკლები, მით უკეთესი, მათ შორის, ქართული პარლამენტარიზმის განვითარებისთვის.

ჩვენი პოლიტიკური პარტია და მთავრობა არის მაქსიმალურად ორიენტირებული მშვიდობის შენარჩუნებაზე, ეკონომიკურ წინსვლაზე, ზოგადად ქვეყნის განვითარებაზე ყველა მიმართულებით და მეორე მხარეს ჩვენ ვხედავთ კოლექტიურ „ნაცმოძრაობას", რომელიც არის სწორედ რომ ომის და რეგრესის პარტია. ერთ მხარეს ინტერესი არის მშვიდობა, პროგრესი, წინსვლა და მეორე მხარეს - ომი და რეგრესი. ამასაც ქართველი საზოგადოება ძალიან კარგად არჩევს.

ჩვენ ახლო მომავალში წარვადგენთ ოთხწლიან გეგმას; ეს იქნება საარჩევნო პროგრამა, რომელიც უკვე არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გადაითარგმნება ოთხწლიან სამთავრობო პროგრამაში და ჩვენ ოთხწლიანი პერსპექტივითაც გვექნება ძალიან ამბიციური მიზნები, ამოცანები, გეგმები. საერთაშორისო სავალუტო ფონდს უკვე აქვს ძალიან კარგი ეკონომიკური პროგნოზი ჩვენი ქვეყნისთვის. ამ პროგნოზის მიხედვით, 2028 წელს ჩვენი ამბიციური გეგმები. ახალი სტადიონი არის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი იმ გეგმისა, რომელიც იქნება წარმოდგენილი. ეს იქნება ე.წ **Landmark**-პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის. დაახლოებით 15, ან თუნდაც 10 წლის წინ, ვერც კი ვიოცნებებდით საქართველოში ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობაზე. ეს ხდება უკვე აბსოლუტურად რეალური და ეს ნიშნავს არა მხოლოდ სპორტის უკეთ წარმოდგენას ჩვენს ქვეყანაში, ეს ნიშნავს ზოგადად ქვეყნის იმიჯის თვისებრივად გაძლიერებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საუნივერსიტეტო რეფორმაზე დეტალურად არ ვისაუბრებ, მაგრამ აქაც გვექნება ფუნდამენტური ცვლილებები შეთავაზებული საზოგადოებისთვის. ჩვენ შეგვიძლია, ოთხი წლისთავზე ჩვენს სტუდენტებს შევთავაზოთ ზუსტად ისეთივე განათლების მიღება ყველა მიმართულებით, როგორი განათლების მიღებაც დღეს მათ შეუძლიათ ევროპულ ქვეყნებში. რომ არ გავაგრძელო, უამრავი მიმართულებით იქნება ფუნდამენტური ცვლილებები შეთავაზებული და, რა თქმა უნდა, ჩვენი საარჩევნო კამპანია თავიდან ბოლომდე აგებული იქნება სამომავლო გეგმებზე. საზოგადოებას უნდა დავანახოთ ჩვენი ხედვა, როგორ ვხედავთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

რაც შეეხება საგარეო-პოლიტიკურ კონტექსტს, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული რეგიონში მოვლენების განვითარებაზე. გლობალურად პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე. მშვიდობას არა აქვს ალტერნატივა და მშვიდობა არის მთავარი, რისთვისაც უნდა იზრუნოს ყველა სახელმწიფომ, რომელიც პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ ხალხს, საკუთარი ხალხის ინტერესებს და სხვა ხალხების ინტერესებს. მე მინდა, უკრაინას ვუსურვო მშვიდობა. ჩვენ რამდენიმე დღის წინ ვუმასპინძლეთ უკრაინელ ბავშვებს, რომლებიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით, ჩამოსული იყვნენ საქართველოში, მიეცათ აქ დროის გატარების, დასვენების საშუალება და ამ ბავშვებს სჭირდებათ მშვიდობა. მე დიდი იმედი მინდა გამოვთქვა, რომ ძალიან მალე უკრაინაში, ჩვენს მეგობარ ქვეყანაში, დამყარდება მშვიდობა.

ასევე, გლობალური მოვლენების განვითარება, ვფიქრობ, მალე მოგვცემს ჩვენ ურთიერთობების გადატვირთვის საშუალებას ჩვენს მთავარ პარტნიორებთან. ეს არის ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი და მჯერა, ეს ყველაფერი მოხდება ძალიან მალე. ასევე მოვლენების ასეთი დადებითი განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებას. არ შეიძლება, ქვეყანას მუდმივად ჰყავდეს ისეთი ოპოზიცია, როგორიც ჰყავს დღეს კოლექტიური „ნაცმოძრაობის" სახით.

როგორც მოქმედებენ ეს ადამიანები, მათი მთავარი იარაღი არის სიძულვილი, ძალადობა, სიცრუე. ეს ყველაფერი არის აბსოლუტურად არათავსებადი ქართულ კულტურასთან, რაც არის იმის კიდევ ერთი

მტკიცებულება, რომ ეს ყველაფერი არის ორგანიზებული გარედან. ეს არ არის ქართული მოვლენა, როგორც მოქმედებს, იქცევა კოლექტიური „ნაცმოძრაობა“. აქედან გამომდინარე, როდესაც კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება ჩვენი სუვერენიტეტი, ეს არაქართული მოვლენა ქართულ პოლიტიკაში აღარ დარჩება და საბოლოო ჯამში ჩვენ მივიღებთ შედეგად ჯანსაღ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც ასე სჭირდება ქართული პოლიტიკის, პოლიტიკური კულტურის, ქართული პარლამენტარიზმის განვითარებას.

ბატონი მამუკა მდინარაძე საუბრობდა ევროსაბჭოში მათ ქმედებებზე, რაც ასევე სრულიად შეუთავსებელია ქართულ კულტურასთან, სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

მათაც უყვართ ხოლმე ხშირად ზურაბ ჟვანიას ცნობილი სიტყვების გამეორება, რომელიც ითქვა სწორედ ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრების დღეს — „მე ვარ ქართველი, მაშასადამე ვარ ევროპელი“ — დღეს ეს ადამიანები იბრძოდნენ იმისთვის, რომ საქართველო გაერიცხათ ევროსაბჭოდან. აქედან ჩანს, რამდენად დიდი ფარსია მათი მხრიდან ნებისმიერი სიტყვის გახსენება, რაც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის წინსვლასთან კონკრეტულ მომენტში. თავიანთი ქმედებებით ეს ადამიანები ამტკიცებენ ერთ რამეს, რაც არის მათი დევიზი — მე ვარ კოლექტიური „ნაციონალი“, მაშასადამე არ ვარ არც ქართველი და არ ვარ არც ევროპელი. ეს არის რეალურად მათი დევიზი და სულისკვეთება.

მინდა, კიდევ ერთხელ ვუსურვო წარმატებები ჩვენს ფეხბურთელებს. ძალიან დიდია ინტერესი ამ მატჩის მიმართ. ჩვენ სასწრაფო წესით მივიღეთ გადაწყვეტილება მერვედფინალისთვის ფრენების სუბსიდირების თაობაზე. ბილეთები დაიღო გასაყიდად და მყისიერად გაიყიდა ყველა ბილეთი. აქედან გამომდინარე, ჩვენ განვაგრძობთ მუშაობას იმისათვის, რომ მოხერხდეს დამატებითი რეისების სუბსიდირება, იმდენად დიდია ინტერესი. გარდა ამისა, ჩვენი ინტერესია დიდი, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი დაესწროს თამაშს. ეს ქმნის, რა თქმა უნდა, საკმაოდ მნიშვნელოვან უპირატესობას გუნდისთვის, როდესაც არის აქტიური ქომაგობა შენი თანამემამულეების მხრიდან. აქედან გამომდინარე, შესაძლებლობის მაქსიმუმს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ქართველმა მოახერხოს გერმანიაში გამგზავრება ამ მატჩზე დასასწრებად.

ასევე უახლოეს დღეებში ჩვენს კალათბურთელებს აქვთ მნიშვნელოვანი თამაშები, გვაქვს ძალიან კარგი შანსი, რომ პირველად ისტორიაში მოვხვდეთ ოლიმპიადაზე. მინდა, მათ ვუსურვო წარმატებები.

ოლიმპიადა იწყება ძალიან მალე და ჩვენს ოლიმპიელებს მინდა ვუსურვო წარმატებები, გამარჯვებები. გვყავს ალბათ ყველაზე კარგი გუნდი, ბოლოდროინდელი ისტორიის განმავლობაში და გვაქვს ძალიან კარგი შანსი იმისა, რომ რაც შეიძლება მეტი ოქროს, ვერცხლის თუ ბრინჯაოს მედალი წამოვიღოთ ამ ოლიმპიადიდან. ჩვენს თითოეულ სპორტსმენს მინდა, ვუსურვო ძალიან დიდი წარმატებები და გამარჯვება ოლიმპიადაზე.

მართალია, ჩვენ გვაქვს, პატარა ქვეყანა, მაგრამ ეს არის ჩვენი უძვირფასესი მრავალეროვნული, მრავალფეროვანი ქვეყანა, რომელიც საუკეთესოს იმსახურებს და ჩვენი ვალია, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ყველაფერი გავაკეთოთ ამ ქვეყნის განვითარებისთვის, ამ ქვეყნის ძლიერებისთვის. ეს არის ჩვენი სულისკვეთება. შემდეგი 4 წლის განმავლობაში, თითოეული ნაბიჯი, რომელიც გადაიდგმება საქართველოს მთავრობის მხრიდან, ამ სულისკვეთებით იქნება გამსჭვალული!..

საჭირა(ლი) ციტატები

თუ ნაცმოძრაობა დამარცხდა, ეს მთელ რეგიონს ევროფასეულობებს დააკარგვინებს!

ჩემი ქვეყნის ევროინტეგრაცია და ევროპული განვითარების გზა საფრთხეშია. რუსმა ოლიგარქმა ივანიშვილმა გადაწყვიტა შეცვალოს საქართველოს გეოპოლიტიკური გზა ევროპიდან რუსეთში, დემოკრატიული განვითარებიდან ოლიგარქიულ სისტემაზე. რუსული კანონი **(უცხოეთიდან შემოტანილი სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობაზე – რედ.)** მხოლოდ ერთი ასპექტია რუსი ოლიგარქის ივანიშვილის პოლიტიკურ თამაშში, მისი გაცილებით დიდი მიზანია ევროპის გაძევება რეგიონიდან **(იგულისხმეგა სამხრეთ კავკასია – რედ.)** და რუსული გავლენის გაზრდა. ის, რაც ახლა საქართველოში ხდება, ეს არ არის მარტო ქართველების ბრძოლა – თუ ჩვენ დავმარცხდებით, ევროპული ღირებულებები მთელ რეგიონში დამარცხდება. ივანიშვილის მიერ ძალაუფლების შენარჩუნება შეიძლება მხოლოდ რუსულ სისტემაში, სადაც კრიტიკული ხმა ჩახშობილია, სადაც დემოკრატია მხოლოდ სიტყვებია, სადაც პოლიტპატიმრები და სამოქალაქო აქტივისტები ციხეში არიან. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ადამიანი, რომელმაც საქართველოს ევროპული გზა შეუქცევადი გახადა – საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ის ახლა რუსი ოლიგარქის ციხეში იმყოფება...

ანი წითლიძე
ზუგდიდელი ლამაზმანი ნაცმოძრაობიდან

ანტიქართული ძალა ევროპულ პოლიტიკურ არენაზე

28 ივნისი ნაცმოძრაობის ისტორიაში ყველაზე შავი ლაქაა. ისინი ჩავიდნენ სტრასბურგში და გააკეთეს ის, რაც აბსოლუტურად ანტიქართული და ანტიევროპულიც გახლავთ. მას შემდეგ, რაც მათ აგვისტოს ომის დროს რეზოლუციას მოაწერეს ხელი, სადაც საკუთარი ქვეყანა და ჯარი დაადანაშაულეს ომის დაწყებაში, ახლა გააკეთეს ის, რომ ევროსაბჭოს მიმართეს თხოვნით, რომ საქართველოს 25-წლიანი წევრობა და თანამშრომლობა შეიზღუდოს... ამის პრეცედენტის მოძებნა ძნელია, როდესაც ქვეყნის მოქალაქეები საკუთარი ქვეყნის **(უფლებების – რედ.)** შეზღუდვას მოითხოვენ. ეს მიუთითებს იმას, თუ რა მორალის ხალხთან და როგორ ანტიქართულ პოლიტიკურ ძალასთან გვაქვს საქმე.

არჩილ თალაკვაძე

ევროპაში გარდაქმნების დრო დგება!

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ მემარჯვენე პარტიათა ახალი ალიანსი ევროპაში გარდაქმნებს მოიტანს. უნგრეთის პრემიერმა ახალ კონსერვატიულ ალიანსთან სათანამშრომლოდ მიიწვია სხვა მემარჯვენე პარტიები.

ევროკავშირი, მისი დღევანდელი სახით, არ არის დემოკრატიული გაერთიანება და საჭიროებს გარდაქმნებს, რომელთაც უზრუნველყოფს ევროპაში მემარჯვენე პარტიათა ახალი ალიანსი. ორბანმა ამის შესახებ განაცხადა ვენაში ჟურნალისტებთან მას შემდეგ, რაც შეთანხმება გაფორმდა მის პარტიასა (უნგრეთის სამოქალაქო კავშირი), ავსტრიის თავისუფლების პარტიასა და ჩეხეთის მოძრაობა ANO-ს (უკმაყოფილო მოქალაქეთა აქცია) შორის.

მთავრობის მეთაურმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ ევროპარლამენტის ახლახან გამართულ არჩევნებზე 27 ქვეყნიდან 20-ში გაიმარჯვეს პატრიოტულად განწყობილმა მემარჯვენე პარტიებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ცვლილებებს ევროპაში.

„სამი რამ, რაც სურთ ევროპელებს, ესაა მშვიდობა, წესრიგი და განვითარება. ამის სანაცვლოდ ისინი ბრიუსელისგან იღებენ ომს, მიგრაციას და სტაგნაციას – ხაზი გაუსვა პრემიერმა, – ევროპული ეკონომიკა კრიზისშია, ევროპის ეკონომიკური წონა მცირდება, გრძელდება არალეგალური მიგრაცია, ჩვენს სამეზობლოში კი არის ომი, რომლის თავიდან აცილებაც ვერ შევძელით და ვერც მისი იზოლირება მოვახერხეთ მას შემდეგ, რაც ის გაღვივდა. ამიტომაც ჩვენ ვცხოვრობთ ომის ჩრდილში“.

ორბანმა განაცხადა, რომ ცენტრალური ევროპის სამი მემარჯვენე პარტიის გაერთიანება მოწოდებულია, ცვლილებები მოუტანოს ევროპას. „ჩვენ შევეცდებით, სწრაფად გავხდეთ ყველაზე ძლიერი მემარჯვენე ჯგუფი ევროპულ პოლიტიკაში“ - უთხრა ჟურნალისტებს ორბანმა.

სამმა მემარჯვენე პარტიამ მიიღო ერთობლივი „პატრიოტული მანიფესტი“, რომელსაც ხელს აწერენ **ვიქტორ ორბანი, გერბერტ კიკლი** და **ანდრეე ბაბიში.** ამ დოკუმენტში ჩადებული იდეისა და მიზნების მისაღწევად წარიმართება გაერთიანების შემდგომი მუშაობა. უნგრეთის პრემიერმა სათანამშრომლოდ მიიწვია სხვა ევროპული მემარჯვენე პარტიებიც. ორბანმა გამოთქვა იმედი, რომ ამ გაერთიანებით ევროპაში დაიწყება გარდაქმნები. **„ევროპულ პოლიტიკაში ახალი ეპოქა იწყება“ ...**



ბიძინა ივანიშვილის სანაკრებო ჯილდო მსოფლიო გამოცემების ყურადღების ცენტრშია

ქართული ფეხბურთის შემდეგ მსოფლიო გამოცემების ყურადღების ცენტრშია ბიძინა ივანიშვილის მიერ ეროვნული ნაკრებისთვის დაწესებული ჯილდო. „ბიბისი“-ს, „როიტერ“-ის, „ბილდი“-ს შემდეგ „ეიბისი ნიუსი“ წერს, რომ დებიუტანტი საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ღირსეული ასპარეზობისთვის უპრეცედენტო პრიზს მიიღებს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნაკრებს პორტუგალიაზე გამარჯვების შემთხვევაში 30 მილიონ ლარს გადასცემ.

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით ეროვნულ გუნდს დაწესებული ჯილდო 30 მილიონი ლარი გადაეცა.

საქართველო ერთპიროვნული ლიდერია

2024 წლის ხუთი თვის მაჩვენებლით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 9,3%-ია. ეკონომიკური ზრდით საქართველო პირველია, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატებთან, ისე თავად ევროკავშირთან შედარებით," – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილი სოციალურ ქსელ X-ში წერს.

– 2024 წლის ხუთი თვის მაჩვენებლით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა 9,3%-ია.

ეკონომიკური ზრდით საქართველო პირველია, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატებთან, ისე თავად ევროკავშირთან შედარებით.

ამასთან, საქართველო პირველია კანდიდატ ქვეყნებს შორის სამართლის უზენაესობის და კორუფციის აღქმის საერთაშორისო რეიტინგებში.

დემოკრატიული და ეფექტიანად მოქმედი ინსტიტუტების მშენებლობა და მოქალაქეების კეთილდღეობის ზრდა ჩვენი ხელისუფლების მთავარი საზრუნავია.

ფაქტები თავის თავზე მეტყველებენ - საქართველო, როგორც ეკონომიკური ზრდით, ისე ინსტიტუციური განვითარებით, ლიდერია ევროკავშირის წევრობის კანდიდატებს შორის...

კახა კალაძე: ვიმეორებ – ოპოზიცია არის ამ ქვეყნის მტერი

„ერთი რამ უნდა გავიგოთ ყველამ, ესენი არიან ამ ქვეყნის მტრები. ისინი მოქმედებენ სხვა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ ჰყავთ თავიანთი პატრონები, რასაც უბრძანებენ, რასაც დაავალებენ აკეთებენ იმას და ის, რასაც აკეთებენ, საქართველოს ინტერესებში ნამდვილად არ შედის. ჩვენ გვახსოვს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ რას აკეთებდნენ, რა მეილებს უგზავნიდნენ ევროპარლამენტარებს. იგივე ვიზალიბერალიზაციის მიღების დროს როგორ დარბოდნენ, კანდიდატის სტატუსის მიღების დროს, რომ პირდაპირ მოწოდებები იყო, ქვეყანას სტატუსი არ მიეღო, იგივე არის მოლაპარაკებების გახსნასთან დაკავშირებით. ანუ ყველაფერი კეთდება მათი მხრიდან იმისთვის, რომ როგორმე ქვეყანა დააზიანონ, როგორმე დააზარალონ ქვეყნის ევროპული მომავალი და პირდაპირ ვიტყვი - ერთადერთი ძალა ქვეყანაში ეს არის „ქართული ოცნება", ვინც იბრძვის იმისთვის, რომ ქვეყანა რაც შეიძლება მალე გახდეს ევროპული ოჯახის წევრი. ყველაფერი, თუკი რაიმე გაკეთებულა ამ გზაზე, ეს არის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" დამსახურება 2012 წლიდან მოყოლებული. ყველა წინ გადადგმული ნაბიჯი, ხელშესახები ცვლილება განხორციელებულია „ქართული ოცნების" მიერ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასთან ერთად.

ახლა წარმოდგენილია მოლაპარაკების გახსნისთვის შესაბამისი დათქმები, რომელიც სრულდება და ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით გაკეთდება განცხადებები, რომ ყველაფერი იქნება შესრულებული და ევროპას დარჩება მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ გახსნას მოლაპარაკებები ჩვენს ქვეყანასთან.

ბუდუ ზივზივაძემ თავისი ქართველობით გაიმარჯვა

პარტია „ხალხის ძალის" წევრი დავით ქართველიშვილი საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის ბუდუ ზივზივაძის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს აფასებს.

„ეგრე რა! ესეც ბუდუს „დე-მაშასადამიზაცია" და პირველ რიგში – მხოლოდ ქართველობა, რაშიც არც არავის ეპარებოდა ეჭვი. ამ ბიჭის „დემონიზაციაზე" მუშაობდა ჩვენი ლიბერალური ფაშიზმის მთელი ბოროტი მანქანა. მათი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ქართველი ამოერიცხათ ეროვნული ნაკრებიდან, ქართული ფეხბურთიდან,

ჩვენი საზოგადოების ამ მნიშვნელოვანი ნაწილის – მორიგ, გენმოდიფიცირებულ სეგმენტად გარდაქმნის მიზნით. მათი მიზანია – ყველაფერი ქართული, ნიჭიერი და ეროვნული გადააქციონ უფერულ, უსამშობლო, გან-სულიერებულ ბიომასად. მათი ძირითადი სამიზნე – წარმატებული ქართველები არიან. დიდი ხანია, ნადირობდნენ და ცდილობდნენ იმავე ბუდუს „ვამპირიზაციას", მაგრამ ბუდუმ თავისი ქართველობით მათზე გაიმარჯვა..."

სატირა(ლი) ამბები ოპოზიციისთვის

წითლიძისა და ბექაშვილის ღალატი ამაო აღმოჩნდა

ევროსაბჭომ რეზოლუციაში არც ივანიშვილის საკითხი შეიტანა და არც საპაკაშვილის

მიუხედაავად იმისა, რომ 66 მომხრით 4 წინააღმდეგ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოში დემოკრატიის გამოწვევების შესახებ რეზოლუცია მიიღო, წინა რეზოლუციებისგან განსხვავებით, დოკუმენტში ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის სახელები არ მოხვდა.

დოკუმენტი, რომლის ავტორები კლოდ კერნი და ედიტ ესტრელა არიან, საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის სრულად და დაუყოვნებლივ გაწვევას. დოკუმენტი მხარს უჭერს ვენეციის კომისიის მოსაზრებას. ტექსტში ხაზგასმულია, რომ მიღებული კანონი შეუთავსებელია ევროპის დემოკრატიის და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან, ასევე იმ ვალდებულებებთან, რაც საქართველოს აქვს აღებული.

რეზოლუცია საკმაოდ მკაცრია, თუმცა აქ გარკვეულ ოპტიმიზმსაც ვნახავთ და ნათლად ჩანს, რომ სიტუაცია, ევროსაბჭოს ფორმატში, შეცვლილია. ასამბლეამ საგოლოო დასკვნაში არ შეიტანა შესწორებები, სადაც პირდაპირ იყო ნახსენები ივანიშვილი, როგორც ეს ევროპარლამენტის რეზოლუციაში მოხდა. ასევე რეზოლუციაში არ შევიდა მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებისა და სხვა მძიმე პუნქტები, რომელთა ინიციატორი იყო უკრაინელი დეპუტატების ჯგუფი ოლექსი გონჩარენკოს მეთაურობით, მხარდამჭერები კი ლიეტუველი და ქართველი ოპოზიციონერი პარლამენტარები გახლდათ.

შესწორება საკმაოდ მკაცრი იყო, რომელიც პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს ეხებოდა. ხოლო რეზოლუციისთვის ამ პარაგრაფის დამატებას მოითხოვდა დეპუტატების ჯგუფი – ოთხი უკრაინელი, ორი ლიეტუველი და ორი ქართველი (წითლიძე და ბეჟაშვილი), სადაც უნდა ჩაწერილიყო: **„ასამბლეა ასევე, შეშფოთებულია პოლიტიკოსისა და ოლიგარქის, ბიძინა ივანიშვილის გავლენით საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომლის ქმედებები და განცხადებები პირდაპირ ემუქრება საქართველოს გზას ევროკავშირისა და ნატოსკენ. კერძოდ, მისი ბოლო განცხადებები, რომლებიც ამართლებს რუსეთის ფედერაციის აგრესიულ ომს უკრაინის წინააღმდეგ, მისი პრორუსული შეხედულებების მტკიცებულებაა, რაც ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს".**

თუმცა ეს შესწორება ასამბლეამ უარყო – 41 ხმით 29-ის წინააღმდეგ.

მედია პოლიტიკის ექსპერტი **გიორგი ახვლედიანი** ამბობს, რომ

ევროსაბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია, ფაქტობრივად, არაფრის შესახებ არ არის. ახვლედიანი აცხადებს, რომ ის სრულიად განსხვავდება ევროპარლამენტის რეზოლუციებისგან, რომელიც მკაცრი იყო და პირდაპირ საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მოითხოვდა.

– ეს არის ისევ და ისევ ჩვენს მიმართ გამოთქმული რეკომენდაციები, იქნება და ვენეციის კომისიის დასკვნები შევასრულოთ ცესკოსთან დაკავშირებით და ელგებეტე პროპაგანდის აკრძალვასთან მიმართებაში. პრაქტიკულად, ეს არის რბილი და უკბილო რეზოლუცია. ეტყობოდა, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით შიგნით არც ისე მყარია პოზიციები, როგორც წინა ევროპარლამენტში იყო.

ეს სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოჩნდება და ამის წინაპირობა ეს როზოლუციაა. საუბარი იმაზე, რომ შესაძლოა, გამჭვირვალობის კანონი არჩევნებზე აისახოს, სიცრუეა. თითქოს არასამთავრობო ორგანიზაციები არჩევნებს ვეღარ დააკვირდებიან, აბსურდია. შესანიშნავად დააკვირდებიან ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც, ელემენტარულად, შავ ფულზე არ არიან ჩამოკიდებულები. თუ ვინმე ფულს იმაში იღებს, რომ აქ რევოლუციური სცენარები განახორციელონ, ასეთები გინდ დააკვირდნენ და გინდ არა, ისინი მაინც მიკერძოებულები არიან. არაფერი პრობლემა დამკვირვებლების მხრივ, ამ არჩევნებს არ ექნება, მით უმეტეს ძალიან ბევრი სადამკვირვებლო ორგანიზაცა ჩამოვა. ევროპაშიც ხვდებიან, რომ ეს თამაში წაგებულია, – ამბობს ახვლედიანი.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ რეზოლუციაში არ მოხვდა ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის გვარები, ახვლედიანი ამბობს, რომ სააკაშვილის ფაქტორი ევროპაშიც გაიაზრეს და მიხვდნენ, რომ რეალურად, ამ თემამ აქტუალობა დაკარგა.

„ძალიან დიდი ფიასკო განიცადა იმ პოლიტიკურმა პიარმა, რომ სააკაშვილი კვდება და მისი ჯამრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა და არიქა, ფიზიკურად არის გადასარჩენი. ევროპაშიც მიხვდნენ, რომ ეს თემა მათ ავტორიტეტს აზიანებს. აღმოჩნდა, რომ კაცს კუჭის ოპერაცია აქვს გაკეთებული და ამ წონაზე ამიტომ დადგა. ეს არაადეკვატური ნარატივი სრულიად ჩამოიშალა. ამიტომ ახლა სააკაშვილის პოლიტპატიმრობაზე და მძიმე მდგომარეობაზე საუბარი ევროპული პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის უკვე არამომგებიანია.

გასაგებია, რომ უკრაინის სპეკულაციებს საზღვარი არა აქვს, თან გარკვეულწილად ერთგვარი ვალდებულებაც აქვთ, რომ თავიანთი მოქალაქის და მთავრობის წარმომადგენლის გამო იაქტიურონ. გონჩარენკოს რა სერიოზულობა უნდა მოვთხოვოთ, ეს არის მხოლოდ ვალის მოხდის მცდელობა, რაც არ გამოუვიდათ. სააკაშვილი ევროპულმა პოლიტიკამ უკვე დიდი ხანია ჩამოწერა, ყველამ დაინახა, რომ ამ ადამიანს ქართველ საზოგადოებაში დიდი ნეგატივი აქვს და მასზე ფსონის დადებაც აღარ უნდათ", – ამბობს ახვლედიანი.

მისივე თქმით, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით ჩავარდნილი შესწორება ძალიან კარგი ტენდენციაა, რადგან ახალმა ევროპარლამენტმა არ დაიწყო მუშაობა დიდი შეცდომით და არაადეკვატური გადაწყვეტილებით.

– ვიღაცა ნაციონალებს უნდათ ევროპარლამენტარებს რაღაც სისულელეები ჩააწერინონ ბიძინა ივანიშვილზე. ამაზე ბევრჯერ კბილი და კისერი უკვე მოიტეხეს, ჯერ კიდევ მაშინ, როცა კეზერაშვილი დევნილ მედიამაგნატად გამოაცხადეს. ამიტომ ახლა უფრო მეტად ფრთხილები და დაკვირვებულები იქნებიან, – ამბობს ახვლედიანი.



„ხალხის ძალის" წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ამბობს, რომ უფრო მკაცრი რეზოლუციის მიღების მოლოდინი არსებობდა. მისი თქმით, დაშინების და შანტაჟის ტემპერატურა ძალიან მაღალი იყო, ამიტომ ჩნდებოდა განცდა, რომ რეზოლუცია უფრო მკაცრი იქნებოდა.

„ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის თემა მაინც ვერ გარისკეს და არ ასახეს ამ რეზოლუციაში. კვლავ რაღაცა ზოგადი და ჩვენთთვის ცნობილი ფრაზებით, შეშფოთება-აღშფოთებით შემოიფარგლნენ. ამ ზოგადი დაშინებების და შეშფოთებების მიღმა, ჩვენ უკვე გამომუშავებული გვაქვს იმუნიტეტი. ამიტომ არ მგონია, ხელისუფლებაზე ამან რაიმე ზეგავლენა მოახდინოს. მათი ეს მოწოდებები, გავითვალისწინოთ ვენეციის კომისიის დასკვნა, მიუღებელია.

ვენეციის კომისია ფსევდოლიბერალების ხელში დასჯის და თითის ქნევის პოლიტიკურ იარაღად იქცა. არანაირი საერთო არ გააჩნია ამა თუ იმ კანონპროექტის სამართლებრივ შეფასებასთან. ამიტომ, ამასაც მიჩვეულები ვართ და როგორც მამუკა მდინარაძემ განაცხადა, გამორიცხულია ელგებეტე პროპაგანდის დონეზე, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება. მსგავსი ჩანაწერები, რაც უფრო ბევრი იქნება საქართველოს კანონშემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით, მით უფრო უარესია თავად ევროკავშირისთვის და მისი ინსტიტუტებისთვის. ასეთი ჩანაწერები, ჩვენს საზოგადოებაში ევროსკეპტიციზმს აღვივებს", – ამბობს ქართველიშვილი.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ადვოკატებმა სტრასბურგის სასამართლო უკვე მერამდენედ წაგეს და ამიტომ არ გამორიცხავს, რომ ევროპარლამენტარებს და ევროსაბჭოს ჰქონდათ იმის იმედი, რომ სააკაშვილის საკითხის რეანიმირებას პრაქტიკულ ჭრილში გადაიყვანდნენ. თუმცა, როცა დაინახეს, რომ სტრასბურგის სასამართლო ამ სასჯელებს განსახილველადაც არ იღებს, ამან მათ დამოკიდებულებაზე დიდი გავლენა იქონია.

მოამზადა
ლიკა ბერიკაშვილმა

ფეხბურთზე... უბურთოდ პოლიტიკაზე — ბურთით!

სამი თვეა, საქართველო ფეხბურთით ცხოვრობს, სამი თვეა შეძახილმა საქართველოს გაუმარჯოს!“ სხვა, უფრო გულისმიერი, არასავალდებულო, სიყვარულიანი ყოერაადობა შეიძინა. საქართველო უფრო ხშირად ხმიანდება ევროპისა და მსოფლიოს მცხოვრებთა მიერ, ვიდრე ევროსაბჭოს სხდომებზე, სადაც მხოლოდ ჩვენი ლანძღვა და შეჩვენება ისმის. მსოფლიოს მოქალაქენი აღფრთოვანებით, გაოცებით, პატივისცემით ლაპარაკობენ საოცარ, იდუმალ ქვეყანაზე კავკასიიდან.

პორტუგალიის დამარცხების შემდეგ უეფას ფეისბუქგვერდზე 26 ათასი კომენტარი დაიწერა: „საქართველომ ევროპელების გულები მოიგო!“, „გილოცავთ ვიეტნამიდან, საქართველოვ!“, „გილოცავთ საუკეთესო სურვილებით პოლონეთიდან!“, „ყოველთვის მხარს ვუჭერთ ძმებს საქართველოდან“, “საუკეთესო სურვილები საქართველოვ. გმადლობთ, ბანგლადეშიდან“, „როგორც თურქს ქართველი ხალხის გამო მიხარია, დიდი პატივისცემა თურქეთიდან, მიყვარხართ, მეზობლებო!“... ამ გზავნილებში განსაკუთრებით მომწონს ერთი გაოცებული გერმანელი ჟურნალისტის გამონათქვამი: „ვინ ყოფილან ეს ქართველები. ისე თამაშობენ, თითქოს ხვალინდელი დღე არ არსებობდეს“ და სომეხი კომენტატორის შეძახილი ქართულად: „შენი ჭირიმე, ხვიჩა კვარაცხელია!“

ერი ზეიმობს, ქვეყანა ლაღობს. ლამის ჩვილმა ბავშვმაც კი იცის, ჩვენი მეკარე გიორგი მამარდაშვილი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ გოლკიპერთა შორის მე-5 ადგილზე რომაა და ამ დროისთვის მისი ფასი 35 მილიონი ევროა სამენეჯერო სააგენტოს შეფასებით, ხოლო ხვიჩა კვარაცხელია ქართველებს შორის ლიდერია – 80 მილიონი ევროთი...

მთელი ამ თვეების მანძილზე, რაც ფეხბურთმა სრულიად საქართველო თითის წვერებზე შეაყენა, ჭიპმოჭრილ გულშემატკივართა სენი – ჩაერიონ მწვრთნელის საქმეში (ვინ გამოიყვანოს მატჩში სათამაშოდ, ვინ არა) სერიოზულ პანდემიად არ ქცეულა, თუმცა ეს, კაცმა რომ თქვას, სულაც არ აზარალებს საქმეს. ზარალი და ზიანი მაშინ არის, როცა მწვრთნელს საჯაროდ შეუძახებ, ესა და ეს ფეხბურთელი რატომ არ გამოიყვანე მოედანზე, ოპოზიციის მხარდამჭერი რომ არის, იმიტომო?! ეს ბოროტი შეკითხვა მოგონილი არ არის, რაც იქედანაც ჩანს, რომ პარლამენტში წლიური ანგარიშით გამოსვლისას 28 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემაც მიანიშნა მწვრთნელის საქმეში „პოლიტიკური ჩარევის“ ცდებზე. პრემიერს გვარები არ დაუსახელებია. საზოგადოებამ კი ასეთ წელსქვევით დარტყმის ერთ-ერთ ავტორად დაბეჯითებით მიიჩნია გიგა ბოკერია, იმდენად, რომ ევროდემოკრატ გიგას ტელევიზიით თავის მართლებამ მოუწია, ეგრე კი არა, აგრე იყოო, თუმცა ბევრმა მსმენელმა ეგრეში და აგრეში დიდი სხვაობა ვერ შევამჩნიეთ, მაგრამ ის კი უტყუარია, რომ ისეთი მწვრთნელის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, როგორიც ვილი სანიოლია, რომელსაც თავისი შრომითა და გონებით ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავს საქართველოს ნაკრები გამარჯვებებისკენ, უბრალოდ, უსინდისობაა. მით უფრო, რომ თვალნათლივ ვხედავთ, როგორ აახლოებს პოლიტიკით გათითოკაცებულ ადამიანებს ერთმანეთთან სწორედ სანიოლის მიერ აღორძინებული ფეხბურთი, როგორ ერთიანდება გახლეჩილი საზოგადოება (თუნდაც დროებით), როგორ ისევ უყვარდებათ ერთმანეთი გაბუტულ ქართველებს (თუნდაც გარეგნულად). ამის დაუნახაობაზე ცუდი რა უნდა იყოს!

* * *

გასაკვირი რამეები ხდება, თითქოს არაფერიო და უცებ ამოყირავდება ადამიანი, რომელიც კაცი გეგონა. ალეკო-ალექსანდრე ელისაშვილზე მოგახსენებთ, დეპუტატზე, პარტია „მოქალაქის“ თავმჯდომარეზე. ეს კაცი თავიდან ერთი თბილისელი მართალი გიჟი ეგონა ხალხს, რომელიც სწორედ ამ რენომეთი გადაცოცდა საპარლამენტო გარიერზე. მერე თანდათან გაუფერულდა მისი აღმატებული ხატება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „უსამართლობის“ ფეხისხმას აყოლილი „ცესკოს“ მორღვეულ ღობეზე სწორედ რომ უკადრისად ხტოდა და ლანძღავდა „ყალბისმქნელ“ ხელისუფლებას. შემდეგ კი, როცა სიყალბე გამოაშკარავდა, ბოდიში კი მოიხადა, ოღონდ იგივე გააგრძელა.

აგერ ახლახან იყო და ქვეყანამ ნახა,

როგორ ტურასავით მიეპარა ტრიბუნასთან მდგომ მამუკა მდინარაძეს და სანამ პარლამენტის საკომიტეტო სხდომის დარბაზში მყოფნი გამოერკვეოდნენ, დაარტყა. ამაზრზენი სანახავი იყო. ისიც კი, რა გამეტებით უბრაგუნებდნენ შემდეგ მას დეპუტატები. გაზაფხულის ბუნტს ელისაშვილი მთელი გულითა და სულით შეხვდა და არსებითი წვლილიც შეიტანა მასში.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ ყოფილი თბილისელი მართალი გიჟის კიდევ ერთ ყოვლად უღირს ნაბიჯზე შევაჩერო თქვენი ყურდღება და დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთ.

ამას წინათ (თურქებთან თუ ჩეხებთან შეხვედრის შემდეგ) ცოტნე ივანიშვილმა ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა გიორგი მამარდაშვილთან და ხვიჩა კვარაცხელიასთან გერმანიაში, ზედ ტრიბუნაზე გადაღებული ფოტო და შემდგომი წარმატებები უსურვა მათ. რამდენი ასეთი ფოტო გამოქვეყნდა იმ დღეებში!

ალეკო ელისაშვილი მისთვის დამახასიათებელი პატარა კაცობითა და ჩამყაყებული აზროვნებით ასე გამოეხმაურა ამ პოსტს: **„ფეხბურთის ფედერაციამ გაგვცეს პასუხი – შუაში რომ ბიძინას ბიჭი დგას, რა უნდოდა იქ უპრინციპულესი მატჩის წინ, ან საერთოდაც შეკრებაზე მყოფი ნაკრების მოთამაშეებთან ვიღაც უცხო პირს რა ესაქმება? ნებისმიერს შეუძლია ასე მიადგეს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, გამოიყვანოს და ფოტოები გადაიღოს? თუ ეს რახან ქოცების იმპერატორის უფლისწულია, ამიტომ მოსულა? რამზან კადიროვის ამაზრზენ გზას ადგახართ აშკარად. ახსენით ეს ამბავი ფეხბურთის ხელმძღვანელობავ!“**

ამ „დაკვირვებულ“ კაცს ერთი კითხვა გამორჩა: **საერთოდ, როგორ, რა გზებით მოხვდა ცოტნე ივანიშვილი გერმანიაში ევროპის ჩემპიონატზე?**

ისე, კაცმა რომ თქვას, ეკითხა, ალბათ, თვითონ ცოტნე გასცემდა პასუხს ყველა მის გულნამცეცა შეკითხვას, ოღონდ, ალბათ იმის თქმას აირიდებდა, რომ მამამისმა, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა

ივანიშვილმა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელებს გულითადად მიულოცა გამარჯვება, ნაკრებს ჯილდოდ გადასცა დაპირებული 30 მილიონი ლარი (ჯილდო უკვე მიუვიდათ დაჯილდოებულებს) და აღუთქვა, რომ ესპანელებთან გამარჯვებისა და შემდეგ ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში ერთი ამდენით კიდევ დაჯილდოვდებიან! მისდაუნებურად ერთი რამ მართალი თქვა ელისაშვილმა, ბიძინა რომ „იმპერატორად“ მოიხსენია. ის კაცი მართლაც იმსახურებს ამ თიკუნს „ქველმოქმედების იმპერატორისას.“

კიდევ ერთი ამბავი, ამჯერად თურქებთან წაგების პერიოდიდან. ტელეარხ „კავკასიის“ წამყვანმა დავით აქუბარდიამ ერთ-ერთი თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა: „რა უნდა პრემიერ-მინისტრს გერმანიის სტადიონზე, რას დაძვრება იქ, სულ მაგის ბრალია თურქებთან რომ წავაგეთ!“

ამის მთქმელს ენა არ უნდა ამოაგლიჯოს კაცმა?! კი გეჯავრება ის კაცი, შე კრეტინო (თანაც არც იცი, რატომ?), მაგრამ ქვეყნის მეთაურს რა უნდოდა საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან მატჩზე, როგორიც ევროპირველობის პირველი და უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა, რომ ბუზღუნებ ქვეყნის გასაგონად, სადაური წესია, ვინ გითხრა, ვინ გასწავლა?! თანაც წაგებაც სწორედ იმას დააბრალო, რომ „პრემიერი დაძვრება ტრიბუნაზე“?

ჩვენი ხანდაზმული ქალბატონი პრეზიდენტი რომ თამაშს არ აცდენს, ის როგორღაა? დარწმუნებული ვარ მას ფეხბურთი ისე უყვარს, როგორც, ვთქვათ, ბრძოლა წესების გარეშე ან შუხუთური ლელობურთი, მაგრამ დააღირა თავი და თამაში არ გაუცდენია (სხვათა შორის, კვარცხელიასთან ფოტოც გადაიღო!), მაგრამ გადაბრუნებული სიტყვა არავის დასცდენია, იმიტომ, რომ საყოველთაოდ მიღებულია პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი, მეფე ესწრებოდნენ ასეთ გადამწყვეტ მატჩებს, თავისი ხალხის საკუთარი სპორტსმენების გვერდით იდგნენ.

* * *

ხომ ასეთი აჟიოტაჟია მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, საქართველოს არნახული სპორტული მიღწევების გამო, ამ დროს კი იმავე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დანა ალესა მისთვის ყელის გამოსაჭრელად, საქართველოს შესახებ რეზულუცია მიიღო: ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამთ საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, იგულისხმება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღება და მასთან დაკავშირებული მოვლენები. ასამბლეა მიიჩნევს, რომ ამ კანონს არაფერი აქვს საერთო გამჭვირვალობასთან და იგი აუცილებლად უნდა გაუქმდესო. რეზოლუციაში ასევე აღნიშნულია, რომ ასამბლეა ღრმად შეშფოთებულია დემონსტრანტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების, ჟურნალისტებისა და პარლამენტარების წინააღმდეგ პოლიციის მიერ ძალადობრივ თავდასხმებთან და დაშინებასთან დაკავშირებით. ყოველი ფაქტი გამოძიებულ უნდა იქნეს შესაბამისი ორგანოების მიერ დაუყოვნებლივ, სრულად და გამჭვირვალედ, უნდა გამოიძიონ და დამნაშავეები დასაჯონო.

იმავდროულად ჟენევაში გაეროს ოფისსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში 36 ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაავრცელა ერთობლივი განცხადება: საქართველოს მთავრობას მოვუწოდებთ დაუყოვნებლივ გაიწვიოს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, დაასრულოს იმათი დაშინების კამპანია, ვინც ეწინააღმდეგება ამ კანონს და დაიცვას გამოხატვის და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება.

36 ხელმომწერ ქვეყანას შორის არის ევროკავშირის 25 ქვეყანა (უნგრეთისა და სლოვაკეთის გარდა) და აშშ, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, შვეიცარია, ნორვეგია, კანადა, ალბანეთი, მონტენეგრო, მონაკო, ლიხტენშტეინი, ისლანდია.

რა გითხრათ, ძმებო, ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!..

ალეკო ასლანიშვილი

განათლების კოალიციის ინიციატივით მიმდინარე „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს” კონკურსის ფარგლებში საუკეთესო ათეული გამოვლინდა, რომელთაგან ერთ-ერთი 5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდება. გარდა ამისა, მას, ფულადი პრიზის სახით, კამპანიის გენერალური სპონსორისგან – „გუდავაძე-პატარკაციშვილის” ფონდისგან 15 000 ლარი გადაეცემა. საუკეთესო ათეულის დანარჩენ წევრებს ლიბერთი დააჯილდოებს.

2024 წლის მასწავლებელთა საუკეთესო ათეული

2024 წლის საუკეთესო ათეულის წევრები არიან:

ნუკრი კარკაძე – ბაღდათის N1 საჯარო სკოლის და როკითის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი;

გიორგი ლიპარიშვილი – თბილისის მე-6 საავტორო სკოლის, ათასწლეულის სკოლის, საერთაშორისო ქართული სკოლის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

ნანა მარღანია – ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხის საჯარო სკოლის „მე და საზოგადოების“, ჩვენი საქართველოს და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

ინგა მოსიაშვილი – ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის N2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის, ბუნებისმეტყველების და მუსიკის მასწავლებელი;

ნათია ნარსავიძე – დმანისის N3 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;

ნათია ნაფეტვარიძე – თბილისის N161 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;

დიმიტრი ჯოჯუა – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის მათემატიკის და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი;

ნათია უჩავა – თბილისის N126 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;

სოფიო ქუხილავა – მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ წვირმის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;

ნინო ფუხოშვილი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის გეოგრაფიის, მოქალაქეობის და ჩვენი საქართველოს მასწავლებელი.

კონკურსის გენერალური სპონსორია გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი, ოქროს სპონსორია ლიბერთი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. მხარდამჭერები არიან: **EPAM Georgia**, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (**ctc**), ალტე უნივერსიტეტი და პირველი არხი.

საქართველოს რესპუბლიკა

ცოდნა სინათლეა!

№77. ორშაბათი, 1 ივლისი, 2024 წელი

წიგნის მოყვარულთა დაჯილდოებელნი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია – 50

წიგნი მოდიდან არასოდეს გადავა

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. იგი 1974 წელს შეიქმნა კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. შეიქმნა როგორც კომუნისტური იდეების (იდეოლოგიის) გამტარებელი ორგანიზაცია. მაგრამ, საბედნიეროდ, მოხდა ისე, რომ მისი პირველი თავმჯდომარეები იყვნენ ქართული მეცნიერების, მწერლობისა და კულტურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, ასევე მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, ცნობილი ჟურნალისტი დავით კაკაბაძე და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე გურამ ბუხნიკაშვილი), რისი წყალობითაც ამ ორგანიზაციამ იმთავითვე სწორი გეზი და მიმათულება აიღო.

ორგანიზაციის დაარსებიდან (მას თავდაპირველად „წიგნის მოყვარულთა საზოგადოება“ ერქვა) 4 წლისთავზე, 1980 წელს, დაარსდა ამ ორგანიზაციის სპეციალური ჟურნალი „მწიგნობარი“, რომლის რედაქტორი წლების განმავლობაში ცნობილი ლიტერატორი, მკვლევარი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე იყო.

ბოლო 30 წლის მანძილზე მწიგნობრების ასოციაციის თავმჯდომარე გახლდათ ქათული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი და გამომცემელ-რედატორი, უნიჭიერესი და უგანათლებულესი ქალბატონი ლია ნადარეიშვილი,რომლის მაღალმა პიროვნულმა თვისებებმა დიდად შეუწყო ხელი ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდასა და პრესტიჟის ამაღლებას.

„მწიგნობართა ასოციაციის“ შექმნიდან დღემდე 200-ზე მეტი ძვირფასი წიგნია გამოცემული ამ ორგანიზაციის მიერ. ამ წიგნების უცვლელი მთავარი რედაქტორია ქალბატონი ლია ნადარეიშვილი, მათი შემდგენელი და გამოცემის ხელმძღვანელი (ასევე უცვლელი) არის ბატონი შოთა კობიაშვილი.

ახლა კი ისეთ რამეს ვიტყვი, ამ შეშლილ, სამყაროში ყველას რომ გააკვირვებს და აღაფრთოვანებს. ეს ის არის, რომ ეს „საკოცნელი წიგნები“ **ყოველგვარი სახელმწიფო დაფინანსების გარეშე** გამოვიდა. ეს უკვე ზნეობის ის დონეა, ყველა საზოგადოება რომ ინატრებს. აქ საკვირველი და საამაყო კიდევ ისაა, რომ ყველაფერ ამას სულ რამდენიმე ენთუზიასტი აკეთებს. მათი სრული ჩამოთვლა თუნდაც იმიტომ მიმაჩნია აუცილებლად, რომ ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს მათი უაღესად კეთილშობილური საქმიანობის შესახებ. ესენია: **მანანა გვასალია, შოთა კობიაშვილი, თინა გურგენიძე, რუსუდან გულეისპირი, სოფიო კობიაშვილი...** პირადად ჩემი უღმესი პატივისცემა და აღფრთოვანება მათ!

ბედნიერებაა, რომ „მწიგნობართა ასოციაცია“ მოდიდან არ გადასულა, ანაქრონიზმად არ ქცეულა. პირიქით, იგი დღესაც აქტიურად საქმიანობს, წიგნის სიყვარულს, ცოდნას, განათლებას ნერგავს ადამიანებში და ძველებური რუდუნებითა და ერთგულებით ემსახურება ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინსვლის საქმეს, ემსახურება იმ წმინდა და საშვილთაშვილო საქმეს, რასაც „მამული, ენა, სარწმუნოების“ მსახურება ჰქვია! შემდგომი წინსვლა და წარმატებები ამ დიდებულ ორგანიზაციას და მის თანამშრომლებს!

რევაზ ბალანჩივაძე
პროფესორი,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

გულწრფელი სიყვარულით!

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციასთან საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობას ოცზე მეტი წლის მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს. ეს ურთიერთობა დიდწილად ამ საზოგადოების თანამშრომელთა წიგნისა და მწიგნობართა ჭეშმარიტად გულწრფელმა სიყვარულმა განაპირობა. ამ ასოციაციის მესვეურებს არასდროს რჩებოდათ მხედველობიდან ახალი კარგი წიგნის გამოცემა და ყოველთვის გულთბილსა და დასამახსოვრებელ შეხვედრებს უწყობდნენ მათ ავტორებსა და მოწვეულ სტუმრებს. ეს შეხვედრები მომცრო, მაგრამ მყუდრო დარბაზში ქალბატონების ლია ნადარეიშვილის, თინათინ გურგენიძისა და სხვათა გულღია მასპინძლობით ყოველთვის კეთილგანწყობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში ტარდებოდა. ორიათასიანსა და მომდევნო წლებში ეს იყო, ალბათ, ერთ-ერთი გამონაკლისი სივრცე, სადაც ქართული კულტურის დამსახურებულსა და ცნობად სახეებს არა მხოლოდ აზრის თავისუფლად გამოთქმა შეეძლოთ, არამედ ერთმანეთის ნახვით გამოწვეული სიხარულიც განეცადათ.

მწიგნობართა ასოციაცია პატრონად გამოუჩნდა, აგრეთვე, წინა საუკუნეთა მივიწყებულ ქართველ პოეტებსა და მწერლებს. მხედველობაში გვაქვს მინიატიურული გამოცემები შოთა კობიაშვილის მიერ ცნობილ ქართველ პოეტთა და მწერალთა მაღალი ლიტერატურული გემოვნებით შერჩეული კრებულებისა.

სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ მწიგნობართა ასოციაციას 50 წლის იუბილეს და შევსთხოვთ უფალს, ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ კიდევ მრავალი ათეული წლის განმავლობაში შეძლოს წიგნის მოყვარულთა დაპურება ქართულ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ მაღალმხატვრულ ლიტერატურასთან ზიარებით.

გვანცა კოპლატაძე,
საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის ხელმძღვანელი,
ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი.
ბერდიაკონი გიორგი რუხაძე,
ფილოსოფიის დოქტორი.

ძველ მწიგნობართა დარად

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის შესახებ ადრეც მსმენოდა, მათ მიერ ჩინებულად მომზადებული და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული მინიატიურული ფორმატის წიგნებიც მენახა, რამდენიმე შინაც მქონდა და ძალიანაც მომწონდა, მაგრამ მათ შესახებ მეტი არაფერი ვიცოდი. არც ასოციაციის რომელიმე წარმომადგენელს ვიცნობდი და არც ასოციაციის სამყოფელზე მქონდა წარმოდგენა. ნებისმიერ მინიატიურულ გამოცემას თავისი ხიბლი და თავისებურებები გააჩნია.

2002 წლის გაზაფხული იყო, როცა მწიგნობართა ასოციაციიდან ჩემთვის უცნობი ადამიანები დამიკავშირდნენ და თავიანთივე დაფინანსებით რჩეულის გამოცემა შემომთავაზეს. ამგვარი შინაარსის კრებულის გამოცემაც ჩემს შორეულ ოცნებათა რიგს განეკუთვნებოდა და როცა ორივე მათგანის აღსრულების უამმა ერთად ჩამოჰკრა, წუთითაც აღარ მიყოყმანია. ისიც სასიამოვნო იყო, როგორც ავტორისთვის, რომ რჩეული თავად უნდა შემედგინა. რჩეულის შედგენას და გამოცემას ნებისმიერი ავტორისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, ამ დროს არანაირი ტექსტობრივი გაურკვევლობა და სადავო საკითხი აღარ რჩება და მეორეც, ჯერ არ მინახავს ავტორი, რომელსაც სხვის მიერ შედგენილი თავისი ნაწარმოებების რჩეული მოსწონებოდა. თითქმის შეუძლებელია, ორი ადამიანის გემოვნება აბსოლუტური სიზუსტით დაემთხვეს ერთმანეთს და შეხედულებათა ეს სხვადასხვაობა, რომელიც მასალის შერჩევისასაც იჩენს თავს, უმეტესად უარყოფითად აღიქმება ავტორის მიერ. ჩემი დასაწყისისთვის კი ესეც დამატებითი სტიმული გახლდათ. იმის გამო, რომ მწიგნობართა ასოციაციაში არავის ვიცნობდი, თავიდან მაინც ერთგვარი ეჭვით შევხედე მათ წინადადებას და დიდი ენთუზიაზმი არ დამტყობია, მაგრამ საკმარისი იყო პირველივე შეხვედრა და საუბარი ასოციაციის ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებთან, რომ ჩემი ეჭვი სრულიად გამქრალიყო.

მინდა ამ საიუბილეო დღეებში მადლობა ვუთხრა ყველას - რედაქტორს, დიდად პატივცემულ გიორგი ცოცანიძეს, ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს ბერდია არაბულს და პირველ რიგში მწიგნობართა ასოციაციის ყველა წევრს სამაგალითო მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

ანა კალანდაძე სტუმრად ლია ნადარეიშვილთან

ეს ასოციაცია არ გახლავთ თანამშრომელთა უბრალო გაერთიანება. ესაა წიგნზე შეყვარებული, ქართული ლიტერატურის შესანიშნავად მცოდნეთა და ჩინებულ შემფასებელთა მთელი კოჰორტა, რომელსაც მაღალ მხატვრული ქართული ლიტერატურისა და მშობლიური კულტურის განვითარების ბედი გულწრფელად აწუხებს და მთელი თავისი არსებით ცდილობს, ამ დიდ და საშვილიშვილო საქმეს შეეწიოს.

ჩვენს „მწიგნობრებს“ გასული საუკუნეების მეტად ცნობილ მწიგნობართა დარად წიგნისა და ქართული მწერლობის ჭეშმარიტი სიყვარული, მათი პროფესიონალიზმი და საქმისადმი გულმტკივნეულობა ესტაფეტად მოსდევთ და არა მარტო ქართველი მწერლები, ჩვენი მკითხველებიც დიდად არიან მათგან დავალებული. ვგონებ, საწყენად არავის დარჩება, თუ მათი სახელით, ჩემი სახელით, ნახევარ-საუკუნოვან იუბილეს მივულოცავ ჩვენს მწიგნობრებს და ახალ-ახალ ჩინებულ გამოცემებს, ჩინებულ ავტორებს და ახალ წარმატებებსა და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ პირად, თუ საქვეყნო საქმეში.

უდიდესი პატივისცემით
მანანა ჩიტიშვილი

ასოციაცია წიგნით ებრძვის უმეცრებას!

ბედნიერი ვარ, რომ მაქვს საშუალება, მივულოცო ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციას საიუბილეო თარიღი.

რამდენი მადლი და სიკეთე დგას ამ წლების მიღმა. ამ საზოგადოების თითოეული წევრი გრძნობდა, თუ რა გამოწვევების წინაშე უნდა დამდგარიყო ჩვენი ერი.

ჩვენი წმინდა მამები ჯვრითა და ხატით ებრძოდნენ უმეცრებას, მწიგნობართა ასოციაცია – წიგნით.

ჩვენი გადარჩენის უმთავრესი გარანტი არის განათლებული საზოგადოება.

მჯერა, ამ კუთხით მწიგნობართა ასოციაცია კვლავაც იტყვის თავის გაუხუნარ სიტყვას.

ერეკლე საღლიანი

სამაგალითო ღვაწლი

გულმხურვალედ ვულოცავ საიუბილეო თარიღს საქართველოს მწიგნობართა ასოციაციას, რომელიც ღირსეულად ატარებს ილია ჭავჭავაძის სახელს და პირნათლად ემსახურება ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეული წიგნის მოვლას, პოპულარიზაციასა და სიყვარულს საქართველოში.

რამდენიმე ათეული წელია, ვთანამშრომლობ ამ ძვირფას ასოციაციასთან და პირველი, ვინც დამაკავშირა მის დიდებულ კოლექტივთან, გახლდათ ქალბატონი ნელი გურგენიძე, უიშვიათესი კეთილშობილებითა და ინტელექტით გამორჩეული პიროვნება. რამდენი საჯარო ლექცია წამიკითხავს მისი ინიციატივით ასოციაციის ნათელ დარბაზში, იქ სადაც მუდამ თავს იყრიდა განათლებული და დახვეწილი საზოგადოება: „გალაკტიონი და მისი ენიგმები ანუ სიტყვიერი გამოცანები“; „გალაკტიონის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში“; „გალაკტიონის მერი და მისი რეალური პროტოტიპი“, – აი, საკითხები, რომელთაც ისმენდა ჩემგან ასოციაციის საზოგადოება. და ეს ყველა ლექცია ქალბატონი ნელი გურგენიძის თაოსნობით ეწყობოდა. მისი ბოლო ღონისძიებაც ამ დარბაზში შედგა და ის მიეძღვნა ჩემს ახლად გამოცემულ წიგნს – ბაირონის „შილონელი ტუსაღი“ ჩემეულ ქართულ თარგმანში.

მაგრამ ეს ყოველივე წარმატებული ვერ იქნებოდა, რომ არა მწიგნობართა ასოციაციის სამაგალითო ხელმძღვანელი, ქალბატონი ლია ნადარეიშვილი. აი, ვინ იყო ჭეშმარიტი მწიგნობარი, ვინც ლიტერატურული ალღოთი, ღრმა ცოდნითა და კეთილმოსურნეობით გამოირჩეოდა. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ ამ საპატიო თანამდებობაზე ქალბატონმა ლიამ ირაკლი აბაშიძე შეცვალა. სწორედ ქალბატონი ლიას იდეის მიხედვით განხორციელდა გალაკტიონის ორენოვანი მინიატიურული გამოცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე 2018 წელს. ეს გამოცემა აერთიანებს გალაკტიონის ყველა იმ ლექსსა და მათ ჩემეულ ინგლისურ თარგმანს, რომელსაც 2011 წლიდან მოყოლებული დღემდე გამოსცემს ლონდონის ცნობილი გამომცემლობა. ნათელი და მარადიული ხსოვნა ამ ორ ძვირფას ქალბატონს!

განსაკუთრებული მადლობა ასოციაციის დღევანდელ თავდადებულ თანამშრომლებს, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია: ქალბატონ მანანა გვასალიას, ბატონ შოთა კობიაშვილს, ქალბატონ თინათინ გურგენიძეს, ყველას, ვინც ეს ასოციაცია დღემდე ღირსეულად და წარმატებულად შემოუნახა საქართველოს.

წარმატების მრავალი კეთილი სურვილითა და თქვენს გვერდით ყოფნის გულწრფელი მზაობით –

ინესა მერაბიშვილი
აკადემიკოსი

ქართული წიგნის სადარაჯოზე

ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ნახევარი საუკუნისაა. ნახევარი საუკუნე სრულიად საკმარისი დროა თავის დამკვიდრებისათვის; იმის დამტკიცებისათვის, რომ არა მარტო საჭირო ხარ, არამედ საციცოცხლო მნიშვნელობისაა შენი არსებობა. საზოგადოებამ დიდი და საპატიო მიზანი დაისახა – წიგნი ექცია ჩვენს მოთხოვნილებად, მეგზურად; წიგნიერებით აევსო ჩვენი საზოგადოება.

რა დამავიწყებს საზოგადოების მიერ ჩატარებულ შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან, წიგნების პრეზენტაციებს; რა დამავიწყებს პროფ. ვახტანგ გოგუაძის წიგნის „ერი გულადი, პურადის“ პრეზენტაციას, რომელიც ბატონ რევაზ ბალანჩივაძის თავკაცობით გაიმართა. დაუვიწყარია შეხვედრები პროფ. ნანა ხაზარაძესთან, ხალხური სიმღერის დიდ მოამაგე ანზორ ერქომაიშვილთან და ბევრი სხვა.

საზოგადოების სული და გული ბრძანდებოდა შესანიშნავი თავკაცი ამ საზოგადოებისა, ქ-ნი ლია ნადარეიშვილი.

როგორ წარმოვიდგენდი, რომ საზოგადოების ერთგვარი მატიანის, უაღრესად საინტერესო, მრავალფეროვანი ყოველწლიური ალმანახის სახელოვანი რედაქტორების – ირაკლი აბაშიძის, ივანე ლოლაშვილის, ლევან მენაბდის, სოლომონ ხუციშვილის და ნოდარ ტაბიძის საქმის გამგრძელებელი მე აღმოვჩნდებოდი. ბ-ნმა ნოდარ ტაბიძემ ჩამრთო რედკოლეგიის საქმიანობაში და ბოლოს თითქოს მისგან ანდერძად გადმომეცა მისი რედაქტორობა. დღესაც მეამაყება და დიდ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ, რომ რედაქციის საქმიანობას ახლა მე ვუძღვები. მადლობა ბ-ნ შოთა კობიაშვილს, რომელიც თავგამოდებით უძღვება საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობას და ამასთანავე ალმანახის ბურჯია, როგორც მისი პასუხუსმგებელი მდივანი. სიამოვნებას მანიჭებს რედკოლეგიის ამაგდარ, გამორჩეულ წევრებთან: ქ-ნ ლალი ავალიანთან, მაია რაფავასთან, ბატონებთან რევაზ ბალანჩივაძესთან, ალექსანდრე ლორიასთან, როსტომ ჩხეიძესთან, იოსებ ჭუმბურიძესთან თანამშრომლობა.

მიხარია, რომ ჩემთან ერთად ალმანახის რედაქციაში მოვიდნენ ახალგაზრდები, ჩემი უმცროსი კოლეგები და მეგობრები ლევან ბებურიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), მაია მიქაბერიძე, ნათია სიხარულიძე. მადლობა ალმანახის ყველა ავტორს, რომლებიც არ იშურებენ ჩვენი გამოცემისათვის საინტერესო სტატიებს.

მწიგნობართა საზოგადოებას არასდროს არ ჰქონია დალხენილი ცხოვრება ეკონომიკურად, მაგრამ სიღარიბეს არ იმჩნევდა, მთავარია, არ გავღარიბდეთ ჭეშმარიტი ავტორებით და კარგი წიგნებით, და, რაც მთავარია, მწიგნობრის პროდუქციას არ დაელიოს ჭეშმარიტი მკითხველი, განსაკუთრებით – ახალგაზრდობა. მწიგნობართა ასოციაციის თანამშრომელთა გუნდი არც მომავალში შეუშინდება მწირ პირობებს, თავის დიდ საქმეს არ უღალატებს და ასე შეეგებება მომავალ საიუბილეო თარიღებს.

ლადო მინაშვილი

...ჯარისკაცური შემართებით ცოდნის სადარაჯოზე!!!

ასოციაცია, მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლებისათვის, წიგნისადმი ინტერესის გაძლიერებისა და კითხვის სიყვარულის გაღვივებისთვის მუდამჟამ ზრუნავდა და საუკეთესო, განსაკუთრებით უნიკალური, სასაჩუქრე მინიატიურული წიგნების გამოცემით ანებივრებდა მკითხველს.

„მწიგნობარი“ ფეოდალურ საქართველოში მწიგნობრობაში გაწვრთნილი, საქმისმწარმოებელი მოხელე იყო. მწიგნობრის განსაკუთრებული სამოხელეო იარაღის „საწერელის“ მოქნევით უამრავი ღირსშესანიშნავი გამოცემა მიიღო ქართველმა საზოგადოებამ. ამას კი, მესოპოტამიისა და ძველი ეგვიპტის კარის მოხელეების მსგავსად, ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, დაუღალავი, ნიჭიერი, საქმის უბადლო მცოდნის, მწიგნობართუხუცესის, ქალბატონ ლია ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით, საპატიო წოდების ადამიანები უძღვებოდნენ.

რაოდენ სასიხარულო იყო, როდესაც „მწიგნობარის“ ძალისხმევით, წიგნების გარჩევა-პოლემიკას, „მწიგნობართა“ მესვეურების ძალისხმევით, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ესწრებოდნენ. ყოველივე ეს კი, მე და ჩემს თანაავტორებს სტიმულს გვმატებდა, სიხარულს გვანიჭებდა და გულს პატივისცემით გვივსებდა.

დაუვიწყარია ქალბატონი ლიას გულისხმიერება და განსაკუთრებული დამოკიდებულება მეცნიერული გამოცემების მიმართ. ვინ თუ არა იგი, ღრმად მოაზროვნე ადამიანი, დიდად აფასებდა ჩატარებულ კვლევებს და სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდა მათ.

თქვენ ჯარისკაცური შემართებით დგახართ ცოდნის სადარაჯოზე!!!

გილოცავთ იუბილეს!!!

ლია მელიძიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივანი



ფირდოუსის „შაჰნამეს“

ბელა შალვაშვილისეული სრული ქართული თარგმანის კურთხევა შედგა

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, კულტურის სამინისტროს განახლებულ სააქტო დარბაზში „შაჰნამეს” სრული ქართული თარგმანის (9 ტომი) პრეზენტაცია გაიმართა. ცხრატომეული მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამომცემლობა „მერიდიანმა” დაბეჭდა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი, მთარგმნელი ბელა შალვაშვილი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მაჰმუდ ადიბი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი კულტურის საკითხებში მეჰდი საადათნეჟადი, საელჩოს სხვა წარმომადგენლები, აკადემიური და ლიტერატურული სფეროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„შაჰნამეს” ცხრატომეული, რომლის პირველი ოთხი ტომი დაინტერესებულმა საზოგადოებამ შარშან მიიღო, კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გამოიცა. ეს არის ცნობილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ბელა შალვაშვილის თითქმის 50-წლიანი თავდადებული შრომის ნაყოფი და პირველი სრული და ორიგინალს მიახლოებული თარგმანი.

„შაჰნამე” ანუ „მეფეთა წიგნი” ორმოცდაათამდე მეფის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. იგი ვრცელი ლეგენდარულ-მითოლოგიური და საგმირო-სარაინდო ეპოსია. ტექსტი დაწერილია მესნევის ფორმით (ორსტრიქონიანი წყვილად შერითმული სალექსო ფორმა, გავრცელებული კლასიკურ სპარსულ პოეზიაში), რომლისთვისაც დამახასიათებელია სისადავე და უშუალობა, რასაც ხატოვანება და ემოციური აზროვნება გუნებრივად ერწყმის.

თანამედროვე ქართულ ენაზე „შაჰნამეს” ცალკეული ნაწილები თარგმნეს ამბაკო ჭელიძემ, მაგალი თოდუამ, ალექსანდრე ელერდაშვილმა.

„შაჰნამე” სხვადასხვა დროს მრავალ ენაზე ითარგმნა, თუმცა სრული ტექსტის თარგმანი, რომელიც ერთმა მთარგმნელმა შეასრულა, მსოფლიოში ერთადერთია. ბელა შალვაშვილმა „შაჰნამეს” თარგმნა თავისი მასწავლებლის ვახუშტი კოტეტიშვილის დავალებით 1970 წელს დაიწყო და 2016 წელს დაასრულა. სამწუხაროდ, არაერთი ცდის მიუხედავად, წლების განმავლობაში თარგმანის გამოცემა ვერ ხერხდებოდა. საქართველოს კულტურის სამინისტროს ძალისხმევით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება 2021 წელს დაიწყო. 2023 წელს ქართული თარგმანის ოთხი ტომი გამოიცა, 2024 წელს V-IX ტომების გამოცემით კი პროექტი დასრულდა.

სახელოვანი იუბილე

ხუთი ათწლეულის განმავლობაში უწყვეტად არსებობა და საქმიანობა ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის საამაყოა, და კიდევ უფრო მეტად ისეთისათვის, რომელიც აერთიანებს ათეულ ათასობით წიგნის მოყვარულ ადამიანს, ვინც იცის წიგნის მნიშვნელობა, ქომაგობს წიგნს და ეწევა მის პოპულარიზაციას.

სხვადასხვა წლებში ასოციაციას (საზოგადოებას) ხელმძღვანელობდნენ: აკადემიკოსი **ევგენი ხარაძე,** პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე,** მწერალი **გურამ ფანჯიკიძე,** წიგნის დიდი მოამაგენი **რევაზ ღლონტი** და **ლია ნადარეიშვილი.** მათ გზას ღირსეულად აგრძელებს ასოციაციის ახლანდელი თავმჯდომარე ქალბატონი მანანა გვასალია.

ასოციაციამ თავი დაგვამახსოვრა უამრავი ახალი წიგნის წარდგენითა და განხილვით, მათ ავტორებთან შეხვედრებით, წიგნის ზეიმებით, წიგნისა და ექსლიბრისის გამოფენებით, მკითხველთა კონფერენციებით, ვიქტორინა-კონკურსებით, მინიატიურული სასაჩუქრო წიგნების გამოცემებით, გამოჩენილ მეცნიერთა, მწერალთა, ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნებითა და სხვ.

საგულისხმოა, რომ ასოციაცია 1988 წლიდან ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს. ეს მკაფიოდ მიგვანიშნებს მის კავშირზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ასოციაციის ალმანახი „მწიგნობარი“, რომელიც 1980 წლიდან ყოველწლიურად ისტამბება. იგი მოგვითხრობს ძველი თუ თანამედროვე დროის წიგნებზე და მათ შემქმნელებზე, წიგნთსაცავებზე, ბიბლიოთეკებზე, ბიბლიოფილებზე და სხვ. ალმანახის გამოცემას თავდაპირველად ირაკლი აბაშიძე უძღვებოდა, მომდევნო პერიოდში მისი რედაქტორები იყვნენ თვალსაჩინო ლიტერატორები, პროფესორები ივანე ლოლაშვილი, სოლომონ ხუციშვილი, ლევან მენაბდე და ნოდარ ტაბიძე. დღეს ალმანახს სათავეში უდგას პროფესორი ლადო მინაშვილი.

მოხარული ვარ, რომ მეძლევა შესაძლებლობა, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს მწიგნობართა ასოციაციას, მის გამგეობასა და ყველა წევრს საჯაროდ მივულოცო ორგანიზაციის დაარსებიდან 50 წლის იუბილე, ვუსურვო ნაყოფიერი მოღვაწეობა და შემდგომი წარმატებები ჩვენს ქვეყანაში წიგნიერი კულტურის ამაღლების ესოდენ საჭირო საქმეში.

ოთარ ჯანელიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

შოთა კობიაშვილი, სოფო კობიაშვილი, მანანა გვასალია, თინა გურგენიძე, რუსუდან ბულისკერია

წიგნი – მოუსყიდველი მრჩეველი

გვსურს რამ შეიცვალა საქართველოში მწიგნობართა ასოციაციის არსებობის საიუბილეო პერიოდში – სახელმწიფო უმაღლესი ხელმძღვანელობით დაწყებული, ქვეყნის სოციალური პოლიტიკური წყობით დამთავრებული.

არ შეცვლილა მხოლოდ ასოციაციის რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის ქალბატონ ლია ნადარეიშვილის მიზანი: მცირე რაოდენობის, მაღალკვალიფიციური და პასუხისმგებლობის მქონე აპარატისა და გამგეობის თანადგომით, შეექმნა წიგნის მოყვარულთა ნამდვილი ოაზისი.

ქალბატონი ლია ხელმძღვანელობდა დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს შეგონებით – **ერის სიდიადის საწყაო ლიტერატურაა!**

ასოციაციის მოკრძალებულმა სახლმა რუსთაველის გამზირზე ათეულობით მოიზიდა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. აქ სუფევდა სიყვარულის, სიკეთის, სათნოების, ერთგულების, უანგარო მეგობრობის ატმოსფერო, რითაც იმუხტებოდა ყოველი მომსვლელი.

ამ ოაზისში ეწყობოდა ნაღვაწის ჭაშნიკი – ლიტერატურის, ხელოვნების, ტექნიკური პროგრესის სფეროდან. ავტორებისა და დამსწრე საზოგადოების აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის ერთობ შედეგიანი იყო.

ნათქვამია „კარგი წიგნი სასიამოვნო მოსაუბრე, გულახდილი მეგობარი და მოუსყიდველი მრჩეველიაო“.

ქართული ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეთა რჩეული ქმნილებების მინიატიურულ წიგნებად გამოცემამ, რომელსაც ღირსეულად გაართვა თავი აპარატში შექმნილმა სარედაქციო ჯგუფმა, ისინი მართლაც მკითხველის განუყოფელ მეგობრებად აქცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ასოციაციასთან შექმნილი მწიგნობართა კლუბის მუშაობა; მასში გაერთიანდნენ სხვადასხვა დარგის, ჩინის, სახელმწიფო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ღვაწლით დამშვრალი ადამიანები.

ქალბატონი ლია ნადარეიშვილი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა კლუბების საქმიანობას. მისი ძალისხმევით შეხვერებზე სიამოვნებით მოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურის და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ასოციაციის აპარატის მუშაკთა სიყვარულით, მათი კითილი ნებით გაგვიხანგრძლივდა სიცოცხლეო – ხშირად იმეორებდნენ ისინი.

გულითადი მადლობა თქვენ!

გილოცავთ, ეს თქვენი იუბილეა, სამწუხაროდ, მისი მთავარი შემოქმედის ქალბატონი ლია ნადარეიშვილის გარეშე.

ასოციაციასთან არსებული
საინტერესო შეხვედრების კლუბი.

◎ პირველად!

ქალის ტიტული

სერბეთის ქალაქ ნოვი სადში მიმდინარე ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ მირანდა კაპანაძემ ოთხი შეხვედრა მოიგო და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

კაპანაძემ ევროპის ჩემპიონატის ფინალის გზაზე ჩეხი ლანა პეზიჩი (8:0), ნეიტრალური გუნდის სახელით მოჭიდავე რუსი დოლჟონ ცინგუევა (8:6) და აზერბაიჯანელი ფიდან ბაბაევა (8:0) დაამარცხა. საჩემპიონო ბრძოლაში კი თურქ ოზლემ გურსოის (6:3) სძლია.

ეს ქართული ჭიდაობის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ნებისმიერ ასაკში ქალმა შეძლო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება.

◎ ხალიჩაზე

გობაძის ლიცენზია

ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების გადაწყვეტილებით, ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში 87 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოლიმპიადას ჩამოშორებული ბელარუსი სპორტსმენის მასკევიჩის ადგილს ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ლაშა გობაძე დაიკავებს.

პარიზი 2024-ზე საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები სამი სპორტსმენით გამოვა. გობაძის გარდა, ოლიმპიადაზე **რამაზ ზოიძე** (67 კგ) და **როგერტ კოგლიაშვილი** (97 კგ) იასპარეზებენ.



პარიზის ოლიმპიური თამაშები 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

◎ ტატამზე

მეორე მედალი

გულგარეთის დედაქალაქ სოფიაში მიმდინარე ევროპის კადეტთა ჩემპიონატზე ძიუდოში ნოდარ კოგალაძემ 90+ კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს მეორე მედალი მოუტანა.

ახალგაზრდა ქართველმა გოლიათმა პირველი რაუნდი გამოტოვა, შემდეგ კი ავსტრიელი და უკრაინელი მეტოქეები დაამარცხა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც აზერბაიჯანელ მეტოქესთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში გადაერთო, სადაც ასევე უკრაინელ ნიკიტა იუდანოვს სძლია და საქართველოს ნაკრებს მეორე მედალი მოუტანა.

გუშინ ევროპის ჩემპიონატზე ინდივიდუალური შეჯიბრებები საქართველოს ნაკრებმა 2 მედლით დაასრულა – 66 კგ. წონით კატეგორიაში **გიორგი გივიშვილმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა.

◎ ოქტაგონზე

ერთბაშად 2 რეიტინგში

რომან დოლიძე UFC-ს გამარჯვებით დაბრუნდა. ქართველმა სპორტსმენმა ენტონი სმიტი მსაჯების გადაწყვეტილებით, სამ რაუნდიან დაპირისპირებაში უშანსოდ დაამარცხა.

უშუალოდ გუშინდელი დაპირისპირება რომანის სრული უპირატესობით წარიმართა და 15-წუთიან ორთაბრძოლაში მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა. ამერიკელმა **MMA**-ში მე-16 ორთაბრძოლა ჩაატარა, რომელთაგანაც მე-7 მარცხი მიითვალა.

35 წლის ბათუმელი მებრძოლი პირველი ქართველია, რომელიც ერთდროულად ორი დივიზიონის რეიტინგში იქნება. მას ქვემძიმე წონაში გამოსვლა სულაც არ გასჭირვებია და არ არის გამორიცხული, რომ ამ წონაში მისმა ასპარეზობამ პერმანენტული სახე მიიღოს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენებურს მეტოქის დაფინიშებაც შეეძლო, თუმცა მაინც ადვილი გამარჯვება მოიპივა.

აქვე გეტყვით, რომ ბრძოლის დასრულების შემდეგ დოლიძემ ხამზატ ჩიმაევი გამოიწვია, რომელიც საშუალო წონაში გამოდის. რომანის ანგარიშზე ამ გამარჯვების შემდეგ 16 ორთაბრძოლიდან 13 მოგებაა, უშუალოდ **UFC**-ში კი მე-10 საიუბილეო ბრძოლა გამართა, რომელთაგანაც 7 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

◎ ხუთი რგოლი

მართალია, საფეხბურთო ციებ-ცხელებამ ყველაფერი დაჩრდილა, მაგრამ სპორტული ცხოვრება კალენდრის შესაბამისად მაინც გრძელდება და მრავალ საინტერესოს ჰპირდება გულშემატკივარს.

მათგან უახლოესი პარიზის ოლიმპიადის საკალათბურთო საკვალიფიკაციო ტურნირი გახლავთ, რომელიც ხვალ იწყება რიგაში 6 გუნდის მონაწილეობით.

„ა“ ჯგუფი – ლატვია, საქართველო, ფილიპინები.

„ბ“ ჯგუფი – ბრაზილია, მონტენეგრო, კამერუნი.

თითოეული ჯგუფიდან 2-2 საუკეთესო ნახევარფინალში ჯვარედინი სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს, გამარჯვებულნი კი გადამწყვეტ მატჩში გაითამაშებენ დამდეგი თამაშების ლიცენზიას. პარალელურად, მსგავსი ფორმატით სხვადასხვა ქვეყანაში კიდევ 3 ტურნირი იმართება.

უკვე გაუწყეთ, რომ იტალიური შეკრება საქართველოს ეროვნულმა ნაკრგებმა ტრენტოში მასპინძლებთან წაგებული სპარინგით დაასრულა – 68:79, რის შემდეგაც ბალტიისპირეთში გადაინაცვლა და იურმალაში დასკვნითი საკონტროლო ბრძოლები მოაწყო.

კამერუნი – საქართველო 67:66

როცა მოახლოებული ასპარეზობის მონაწილეთა ჯგუფები გაგაცანით, მიაქცევდით ყურადღებას, რომ შესაძლებელია პლეი-ოფში სწორედ აფრიკელებთან მოგვიწიოს შეგმა, ამიტომ არაა გამორიცხული მათთან დახურული მატჩი ნახევარი ძალით ჩაგვეტარებინოს, რაც შედეგებზეც აისახა.

ჯგაროსანთაგან ყველაზე უკეთესი სტატისტიკით **მამუკელაშვილი** – 20 ქულა, **შენგელია** – 16 ქულა და **ტომასონი** – 12 ქულა გამოირჩნენ.

სამაგიეროდ, **ალექსანდრ პიკიჩის** შეგირდებმა გუნდის კაპიტან შენგელიას არყოფნის მიუხედავად, რომელსაც გადატვირთული სეზონის გათვალისწინებით დასვენების საშუალება მიეცა, ჯავრი ეგვიპტელებზე იყარეს – 78:46.

აღნიშნულ ცალფარა სანახაობაში ყველაზე შედეგიანნი იყვნენ: **პორსანტია** – 16 ქულა, 9 მოხსნა, **გითაძე** – 13 ქულა და **მამუკელაშვილი** – 9 ქულა, 9 მოხსნა.

მოკლედ, ხვალ ლატვიასთან დიდი ჯახია!



◎ ოვალური ბურთი

ჩვენი ტაიმი

საქართველოს 20-წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი მატჩი ავსტრალიის წინააღმდეგ გამართა და 11:35 დამარცხდა.

ქეიფე თაუნში, „ეთლონ სპორტ სთედიუმზე“პირველი ლელო მე-11 წუთზე გავიდა და ის „უოლაბეგმა“ გაიტანეს, თუმცა საქმეში ვიდეორეფერის ჩართვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ავსტრალიელებმა უმცროსი ბორჯღლოსნების ფულბეკი ოთარ მეტრეველი ჰაერში შებოჭეს, რის გამოც ლელო გაუქმდა.

ცოტა ხანში ქართველმა მორაგბეებმა ჯარიმის უპირატესობა მოიპოვეს და ბურთი აუტში გადაიტანეს, რომელიც მოიგეს და მოლით **ლუკა სულუაშვილმა** მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებისთვის სადებიუტო ლელოს დადება მოახერხა.

26-ე წუთზე არასწორი ბოჭვისთვის ავსტრალიელთა 5-მა ნომერმა ყვითელი ბარათი მიიღო და ბუნკერის წესი ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც ყვითელი წითელ ბარათად გადაკეთდა და ახალი წესების მიხედვით, მეტოქე 20 წუთით დარჩა კაცნაკლული. პირველი ნახევრის ბოლომდე ჩვენებმა ერთი, მეტოქემ კი ორი ჯარიმა გაიტანა და ტაიმი 8:6 მოვიგეთ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ტაიმის მიწურულს ვიდეო რეფერემ მეტოქეს, ამჯერად უკვე ბლოკირებისთვის, კიდევ ერთი ლელო გაუუქმა.

საქართველოს ნაკრებისთვის მეორე ტაიმიც კარგად დაიწყო, როდესაც **ლუკა ცირეკიძემ** ჯარიმა გაიტანა, თუმცა მალევე უკვე 15 მოთამაშით მყოფმა ავსტრალიელებმაც შეძლეს თავისი პირველი ლელოს დადება და 13:11 დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ საქართველოს ნაკრებს კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა ვერ გამოიყენა და ამან ჩვენი გუნდი კიდევ უფრო არია, რის გამოც 4 ლელო გაუშვა და საბოლოოდ მეტოქესთან 11:35 დამარცხდა.

იმავე დღესვე ჩვენი ჯგუფის მეორე მატჩში ირლანდიის ნაკრებმა იტალია 55:15 დაამარცხა. მომდევნო შეხვედრას უმცროსი ბორჯღალოსნები 4 ივლისს ირლანდიის წინააღმდეგ გამართავენ.

◎ ევრო – 2024

ნახვამდის, ჩემპიონო!

დაიწყო გერმანული ფორუმის პლეი-ოფები და გაირკვა, რომ ევროპას ახალი ჩემპიონი ეყოლება. სიმართლე რომ ვთქვათ, საკვირველი ის უფრო იყო, ლუჩანო სპალეტის გაწვრთნილმა იტალიამ ჯგუფური ეტაპი, დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც რომ დაძლია, როცა ძაკანმ ზედ საფინალო სასტვენის წინ გაიტანა ულამაზესი გოლი და ხორვატები ტურნირიდან გაისტუმრა. მოკლედ, თუ გავიხსენებთ, როგორ სამადლოდ მოუგო სკუადრა აძურამ ალბანეთს სასტარტო ბრძოლა და როგორ უშანსოდ დამარცხდა ესპანეთთან, მომხდარი სავსებით ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ.

შვეიცარია – იტალია 2:0

გოლები: ფროილერი, ვარგასი.

როცა აპენინელთა ფიასკოზე ვსაუბრობთ, ხაზგასასმელად მიგვაჩნია აღვნიშნოთ გუნდის თავკაცის გამოუცდელობა სანაკრებო თვალსაზრისით. დიახ, დაგვეთანხმებით, რომ სულ სხვაა კლუბში მუშაობა და ისეთ გრანდში საკუთარი კვალიფიციურობისა და პროფესიონალიზმის დამტკიცება, როგორც მუდმივი ფავორიტი იტალიაა.

ალბათ, ამის დასტურიცაა სერია – ა-ს მომქანცველი სეზონის შემდეგ გუნდის შემადგენლობის შერჩევისას დაშვებული სელექციური შეცდომები და, შესაბამისად, ნაპოლის შარშანდელი ტრიუმფის შემოქმედის ამუამინდელ შეგირდთა უჯიგრო თამაში. რაც შეეხება მეტოქეს, შვეიცარია ტრადიციულად კერკეტი კაკლის სტატუსით სარგებლობს და მისთვის არც ცალკეული ხმაურიანი სენსაციების ავტორობაა უცხო, მაგრამ ამჯერად მურად იაკინმა ისეთი ანსამბლი შექმნა, გაცილებით სერიოზულ გამოწვევებთან რომ ხელ(თუ ფეხ?) ეწიფება ღირსეულად გამკლავება, რასაც გერმანიის სტადიონებზე ჯგუფური რაუნდის შთამბეჭდავად გადალახვაც ადასტურებს.

გერმანია – დანია 2:0

მასპინძლებმა შედარებით იოლად მოიპოვეს მეოთხედფინალის საგური, თუმცა საამისოდ საქმეში ვარ-ის ვიდეოგამეორების სისტემის რამდენჯერმე ჩარევა, ჰავერცის ზუსტად შესრულებული პენალტი და მთლიანობაში საიმედოდ მოთამაშე სკანდინავიელთა მეკარის შმეიხელის ერთადერთი პოზიციური შეცდომა დაჭირდათ, რომელიც გაუმართლებლად შეყოვნდა თავისუფალ ზონაში გაგზავნილი ბურთის დასაუფლებლად საჯარიმოს დატოვებისას და მუსიალას ანგარიშის გაზრდა გაუადვილა. სხვათა შორის, იმ საღამოს დორტმუნდის თავზე ჭექა-ქუხილი და სეტყვა ისევე გამეორდა, როგორც საქართველო – თურქეთის მატჩის დროს და თამაში ნახევარი საათით შეწყდა...

გვერდი მოამზადა **გია პლატონიშვილმა**

მხატვარი ნოდარ დარძული ქვემო ქედიდან...

26 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის მკვიდრის, მხატვარ ნოდარ დარძულის პერსონალური გამოფენა. გამოფენას ესწრებოდნენ ხელოვნების მოყვარულები, მხატვრის ოჯახის წევრები, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და კულტურის სამსახურის თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები: აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე, მუსიკოლოგი თამარ წულუკიძე, აღმოსავლეთმცოდნე ქეთევან ტომარაძე, ფილოლოგიის დოქტორი ქეთევან გოდერძიშვილი, ენათმეცნიერი ქეთევან ჯერვალიძე, თურქოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი მარიკა ჯიქია, მხატვრები ბექა, ლაშა, გიორგი კუხალაშვილები, ცნობილი პოეტი მზია ხეთაგური და სხვები.

გამოფენას თვითონ მხატვარი მასპინძლობდა და ფერთა სამყაროში სტუმრების გზამკვლევიც თავად იყო. ყველა დამთვალიერებლის კითხვას ამომწურავად პასუხობდა.

ნოდარ დარძული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა თბილისის თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. აქ ის პროფესიული მხატვრობის ძირებს ჩასწვდა და შექმნა თავისი მრავალგანზომილებიანი ხელოვნება, რომელშიც განფენილია, უპირველესად, რწმენა, წარმოსახვა, მითოსი, ეპოსი, რეალობა და ემოციები, მაგრამ ყველაზე მაღლა დგას სიმბოლო – ყოფიერების იდუმალი არსი. დამთვალიერებელს უჩვეულობისა და უცნაურობის განცდა ეუფლება. კომპოზიციები – „ფიროსმანი“, „ბახტრიონი“ და „ცხოვრების ბორბალი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.

მის ნამუშევრებში ფერს უდიდესი დატვირთვა აქვს და ნახატებში დიდი სითბო იგრძნობა. ხატავს ზეთის საღებავებითა და აკრილით ტილოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 34 ფერწერული ტილო იყო წარმოდგენილი, მათ შორის გარდაცვლილი მეუღლის, მამის, დედის და ორიგინალური ავტოპორტრეტიც!

როგორც თავად მხატვარი ამბობს: სამყარო ლამაზია, მთავარია, იქ მხოლოდ სინათლე და სილამაზე ვეძიოთ, ასეთია მისი ცხოვრების კრედო.

გამოფენას ფონად გასდევდა ცნობილი მუსიკოსის მანონი ყუბანეიშვილის, კომპოზიტორ მაყვალა ხორბალაძის, მევიოლინე ქეთევან თავშავაძის მუსიკალური ნომრები. ყველასათვის სიურპრიზი იყო ჩვენი ოპერის ერთ-ერთი წამყვანი სოპრანოს მაყვალა ასპანიძის მიერ შესრულებული „ლელა“ რევაზ ლაღიძის ამავე სახელწოდების ოპერიდან.

მხატვარმა უღრმესი მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს, დამსწრე საზოგადოებას, დედოფლისწყაროს კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს დოდო ხუნაშვილს და მის მოადგილეს ახალგაზრდა გაგა პატაშურს მხატვრის ნიჭის დაფასებისთვის.

მარიკა პოპიაშვილი

იწყება თბილისის რიგით XVII საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

2-7 ივლისს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით თბილისის რიგით XVII საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი გაიმართება.

კინოფესტივალი საზეიმოდ გაიხსნება 2 ივლისს, 19:00 საათზე, თეატრალური უნივერსიტეტის I კორპუსში, დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრის სცენაზე, რეჟისორ ბაქარ ჩერქეზიშვილის ფილმით – „აპოლო ჯავახეთი“. ფილმის მსოფლიო პრემიერაც შედგა 2017 წელს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტური კინოს ფესტივალზე, ამსტერდამში (**IDFA**). აღნიშნული ფილმი ნომინირებული იყო არაერთ საერთაშორისო ფესტივალზე, მათ შორის სარაევოს 2018 წლის კინოფესტივალზე; არის კინო და ტელესკოლების საერთაშორისო ასოციაციის (**CILECT**) პრიზიორი (2018).

TISFF 2024-ის საკონკურსო კინოპროგრამა ნაჩვენები იქნება საქართველოს კინოაკადემიის ლურჯ დარბაზში.

სელექციის შედეგად, კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობს 20 ქვეყნის 27 კინოსკოლა, რომელთა შორისაა: ალბანეთი, არგენტინა, აშშ, ბულგარეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუმინეთი, კანადა, პოლონეთი, ნორვეგია, ესპანეთი, ლიეტუვა, ლიბანი, ინდოეთი, სლოვაკეთი, საქართველო, საფრანგეთი, ნიდერლანდების სამეფო, ფინეთი, ჩეხეთი.

საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამის ჟიურის წევრები არიან: აშვინი მალიკი – სცენარისტი და დამოუკიდებელი კინორეჟისორი (ინდოეთი); მარიამ კანდელაკი – რეჟისორი და პროდიუსერი (საქართველო); ბერტ ბეიენსი – კინორეჟისორი, ბელგიის სამეფო.

წლევანდელი კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამის სტუდენტური ჟიურის წევრები არიან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, კინომცოდნეები: ნინი მუჩიაშვილი, სანდრო საგინაძე და თინათინ ასათიანი.

7 ივლისს,19:00 საათზე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ფესტივალის დაჯილდოების ცერემონიას უმასპინძლებს, რომელზედაც გამოვლინდებიან „ფიჩინგ-ფორუმის“ და საკონკურსო კინოპროგრამის გამარჯვებულები.

ფორუმის ჟიური გამოავლენს 3 გამარჯვებულს, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფულადი პრიზებით.

ასევე გაიცემა სპეციალური დიპლომები: საუკეთესო ხმის დიზაინისთვის, საუკეთესო ოპერატორისთვის და საუკეთესო რეჟისორისთვის.

დაჯილდოება უნივერსიტეტის II კორპუსის ეზოში (დავით აღმაშენებლის გამზირი N40) გაიმართება. დაჯილდოების ცერემონიის დასრულებისთანავე ნაჩვენები იქნება 2024 წლის გრან-პრის მფლობელი ფილმი.

ფესტივალი ხორციელდება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, საზოგადოებრივი მაუწყებლის, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და თბილისის მერიის მხარდაჭერით.

იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ჰოსპიტლის საერთაშორისო აღიარება

იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური ჰოსპიტალი დასავლეთ საქართველოში საერთაშორისოდ აკრედიტებული პირველი პედიატრიული სამედიცინო ცენტრი გახდა. კლინიკური ხარისხისა და პაციენტთა უსაფრთხოების უმაღლესი სტატუსი ჰოსპიტალს ამერიკის აკრედიტაციის საერთაშორისო კომისიასთან რამდენიმეთვიანი მუშაობის შედეგად მიენიჭა.

„ბათუმის იაშვილის სახელობის ბავშვთა ჰოსპიტალი გახლავთ პირველი დასავლეთ საქართველოში პედიატრიული მიმართულებით, რომელმაც გაიარა საერთაშორისო აკრედიტაცია. მინდა, მივულოცო მთელ ჰოსპიტალს. ეს არის მათ მიერ გაწეული ძალიან დიდი შრომის შედეგი და წინაპირობა მაღალკვალიფიციური, მაღალტექნოლოგიური და დახვეწილი სამედიცინო სერვისის მიწოდებისა პაციენტისათვის“, – განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

მაშველებმა ზღვაში დაკარგული მეორე ადამიანიც გარდაცვლილი იპოვეს

კვარიათში მაშველებმა ზღვაში დაკარგული მეორე ადამიანიც გარდაცვლილი იპოვეს. ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა „აჭარა თაიმსი“ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები ზღვაში დაკარგულებს სამი დღის განმავლობაში ეძებდა. ერთ-ერთი გარდაცვლილი 28 ივნისს იპოვეს. თვითმხილველების ინფორმაციით, ზღვაში სამი ადამიანი შევიდა, სამაშველო ჯგუფმა ერთის გადარჩენა შეძლო!

სასტუმროს უზნეო ადმინისტრატორს 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ 2 ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვების და გავრცელების ფაქტზე მხილებულია 1994 წელს დაბადებული ქალი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ გრალდებული ქალი თბილისში, ვაკეში, გარნოვის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობდა და სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე სტუმრების პირად ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებოდა.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, 2024 წლის 25 მაისს, სასტუმროს სპეციალურ პროგრამაში ნახვის გზით, გრალდებულისთვის ცნობილი გახდა, რომ დაზარალებულმა მამაკაცმა და ქალმა ღამე სასტუმროში გაატარეს. ვინაიდან სასტუმროს ადმინისტრატორი იცნობდა დაზარალებული მამაკაცის მეუღლეს, შურისძიების მიზნით ინფორმაციის გამჟღავნება გადაწყვიტა.

გრალდებულმა ქალმა სოციალურ ქსელში შექმნა ყალბი გვერდი, საიდანაც დაზარალებულის ოჯახის წევრებს მიწერა და აცნობა, რომ დაზარალებულს ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა დაოჯახებულ მამაკაცთან. აღნიშნული ინფორმაცია მან დაზარალებული ქალის ყოფილ შეყვარებულსაც აცნობა და სასტუმროს ნომრის ჯავშნის შესახებ ინფორმაციის ამსახველი ფოტოსურათები გადაუგზავნა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, შემოსული შეტყობინების საფუძველზე გამოძიება აწარმოვა და დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვა, რის საფუძველზეც სასტუმროს ადმინისტრატორს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გრალდება წარედგინა.

დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ლონგ აილენდში სილამაზის სალონს ავტომობილი შეეჯახა

4 ადამიანი დაიღუპა და 9 დაშავდა ნიუიორკის შტატის ქალაქ ლონგ აილენდში მომხდარი შემთხვევის დროს.

ავტომობილი სილამაზის სალონს შეეჯახა.

დაღუპულები და დაშავებულები შემთხვევის დროს სალონში იმყოფებოდნენ. დაშავდა ავტომობილის მძღოლიც – ის კლინიკაშია გადაყვანილი და სამართალდამცველების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ზურაბ ნონიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 24001010219), კასპი, 26 მაისის ქ. №7

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
კასპი, ცემ. ქარხნის თიხის კარიერთან (საკადასტრო კოდი: 67.01.52.017)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 2000 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 15 ივლისი, 14:45 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP99850224;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 998502

6. მოვალე: ზურაბ ნონიაშვილი (პ/ნ 24001010219), კასპი, 26 მაისის ქ. №7.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99850224; ლოტის ნომერი: 998502).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ივლისის 12:00 საათამდე.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ალიკა მიტიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
გურჯაანი, ს. ველისციხე (საკადასტრო კოდი: 51.07.63.351)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 3000 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 15 ივლისი, 14:30 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP99850124;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 998501

6. მოვალე: ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78;
მანანა სარაშვილი (პ/ნ 13001047977), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-5 ქუჩა №6

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99850124; ლოტის ნომერი: 998501).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ივლისის 12:00 საათამდე.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - ქ. თბილისში შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის (4 200 მ3 ტევადობის, 25 000 ტ ტვირთბრუნვით ნავთობბაზა) რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 2 აგვისტო, 12:00 საათი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის.: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 21 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნათელა კანჭიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12 (საკადასტრო კოდი: 55.12.75.000.124)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 16824.35 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 15 ივლისი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP99849924;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 998499

6. მოვალე: ნათელა კანჭიაშვილი (პ/ნ 36001041996), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12;

ივანე ბუთიაშვილი (პ/ნ 45001032659), საგარეჯო, 300 არაგველის ქ. №10-12.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარ**ტავას ქ. №40, სართული 11.**

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99849924; ლოტის ნომერი: 998499).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ივლისის 12:00 საათამდე.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გოჩა ფერაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9 (საკადასტრო კოდი: 32.15.35.021)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 22296.84 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 15 ივლისი, 14:15 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP99850024;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 998500

6. მოვალე: გოჩა ფერაძე (პ/ნ 18001001453), ზესტაფონი, სოფელი მარტოთუბანი, პირველი ქუჩის II შესახვევი №9

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99850024; ლოტის ნომერი: 998500).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ივლისის 12:00 საათამდე.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს კახი ზამთარაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: კახი ზამთარაძე (პ/ნ 37001015226), სამტრედია, ს. ეწერი

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

სამტრედია, ს. ეწერი (საკადასტრო კოდი: 34.06.45.006).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 25741.34 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 15 ივლისი, 15:15 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP99850424;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 998504

6. მოვალე: კახი ზამთარაძე (პ/ნ 37001015226), სამტრედია, ს. ეწერი

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99850424; ლოტის ნომერი: 998504).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ივლისის 12:00 საათამდე.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ომარ ჩოხელის და სოფიო ჩოხელის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის თანამესაკუთრე: ომარ ჩოხელი (პ/ნ 36001045758), საგარეჯო, ს. გორანა; სოფიო ჩოხელი (პ/ნ 36401055335), საგარეჯო, ს. გორანა;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

საგარეჯო, ს. კოჭბაანი, გორანა (საკადასტრო კოდი: 55.17.53.000.028)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 2000 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2024 წლის 1 ივლისი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2024 წლის 15 ივლისი, 15:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP99850324;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 998503

6. მოვალე: ომარ ჩოხელი (პ/ნ 36001045758), საგარეჯო, ს. გორანა;

ბექა ჩოხელი (პ/ნ 36001052226), საგარეჯო, ს. გორანა

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP99850324; ლოტის ნომერი: 998503).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ივლისის 12:00 საათამდე.

სახალხო ფესტივალი ტანძიაში

დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 366 წლისთავთან დაკავშირებით სოფელ ტანძიაში სახალხო ფესტივალი „საბაობა 2024“ აღინიშნა.

ინფორმაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია ავრცელებს.

ღონისძიების ფარგლებში, ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში სულხან-საბა ორბელიანის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, დასწრებოდნენ ქართული საბრძოლო ხელოვნების სპექტაკლს, ასევე, კონცერტს ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. ფესტივალის ფარგლებში, აგრეთვე, მოეწყო ადგილობრივი ნაწარმისა და რეწვის ოსტატების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.

აღსანიშნავია, რომ წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის დავით შერაზადიშვილის ინიციატივით, 2023-2024 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულ მოსწავლეებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ, რომელიც ტრადიციად იქცევა. ბოლნისის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ია სვანიძის ინიციატივით ასევე, დაჯილდოვდნენ მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე წარდგენილი პედაგოგები.

ფესტივალი დახურა გორის ქალთა გუნდმა თეონა ცირამუას ხელმძღვანელობით.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე:
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი:
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი:
შორენა გვილია.
დამკაბადონებელი:
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“
განახლებული ლოგოს
ავტორი:
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის # 116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.
რედაქციაში
შემოსული მასალები
არ რეცენზირდება და
ავტორებს უკან არ
უბრუნდებათ.
ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო
განცხადებების
შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

ქრისტიანული პოეზიის XIV ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

29 ივნისს მწერალთა სახლში ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის XIV ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“.

ღონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **ლია დაუშვილმა.**

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტმა ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა ცნობილი მწერლები **მაკა ჯოხაძე და ვაჟა ხორნაული.**

ფესტივალის მთავარი პრიზით - „წმინდა ნინოს ჯვარი“ არავინ დაჯილდოებულა.

ფესტივალის ჟიურიმ: ზაალ გოტკოველი (თავმჯდომარე), ვანო ჩხიკვაძე, გივი ჩიღვინაძე, აკაკი დაუშვილი ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი“ დააჯილდოვა **მაია მინდელი, ელდარ ჭიჭიაშვილი, მაკა გელაშვილი, თია ყავრელიშვილი, ალა დათუკიშვილი, ციური მესხიშვილი.**

ფესტივალის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვრის მედალი“ დაჯილდოვდნენ **მაგდა ჩანქსელიანი, ჯემალ შანიძე, გიორგი ზუგიტაშვილი, იამზე არველაძე-ხეცურიანი, ფიქრია ყუშიტაშვილი, დალი მაზმიშვილი, ივეტა პავლიაშვილი, ლია მამულაშვილი.**

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“ იმართება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით.

ფესტივალის მონაწილეები

პეტრეპავლობის მარხვის დასაწყისი

ყოველთა წმინდა კვირიაკეს შემდგომი (სულთმოფენობიდან მეორე შვიდეულის) პერიოდი

1 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პეტრეპავლობის მარხვას აღნიშნავს. ამ თერმეტი დღის მანძილზე წმინდა მოციქულთა მარხვა ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა თევზით ხსნილია.

პეტრე-პავლეს სახელზე მრავალი ტაძარია აგებული თბილისში, ქუთაისში, საგარეჯოში და სხვაგან...

საგულისხმოა ისიც, რომ თბილისის პეტრეპავლეს სახელობის საფლაოს ეკლესია აშენებულია 1848 წელს კეთილმოწესე დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის დახმარებით და ელისაბედ გოგიჩიან-მაჭავარიანის მიერ შეგროვებული თანხით...

ამ მრავალდღიან მარხვას „ერგასის შემდგომს“ უწოდებდნენ. ამჟამად მას „ზაფხულის“ მარხვადაც მოიხსენიებენ.

გიული ლიპარტია

რეზო ესაძის შედევრები ეროვნულ არქივს გადაეცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს რეჟისორ რეზო ესაძის შვილმა მინდია ესაძემ მამის პირადი არქივი გადასცა.

რეზო ესაძის ოჯახის გადაწყვეტილებით, ცნობილი კინოხელოვანის ფილმების – „ნეილონის ნაძვის ხე“, „ერთი ნახვით შეყვარება“ და „ჭერი“ – კინოფირები, ფილმების გადასაღები მოედნის ფოტოები და ექსპერიმენტული სტუდია „დებიუტის“ საარქივო დოკუმენტები ამიერიდან ეროვნულ არქივში იქნება დაცული.

დოკუმენტების საარქივო ნესით დამუშავების შემდეგ მასალა მკვლევართა დარბაზში იქნება ხელმისაწვდომი.

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.8101; ევრო - 3.0082;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5539;
100 რუბლი - 3.3032; თურქული ლირა - 0.0854;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6517;
1000 სომხური დრამი - 7.2453.

ამინდი 1 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+14,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე	+27

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ღამე	+17,	დღე	+31
მთიანი რაიონები -	ღამე	+15,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+19,	დღე	+28

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 3 ივლისს